97
ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 18 მაისი 1917 წ.

ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის გაგრძელ

№ 49 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 49

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ა სი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Т ф ис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება" ოლღას ქუჩა, № 6.

ჩოჩხათის საზოგაზოების (გურია) სარაიონო კომიტეტი აცხადებს, რომ

ეგნატე ნინოშვილის

გარდაცვალებიდან ოცდასამი წლის შესრულების აღსანიშნავად, კვირას, მაისის 21, ეგნატეს სამშობლო სოფელ ჩანჩეთში (სად. ჯუმათთან) ეგნატეს საფლავზე მოხდება პატივსაცემი ყრილობა, რომლის დროსაც გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი და გაიხსნება ეგნატეს სახელობის სამკითხველო.

ამისათვის ხსენებული კომიტეტი მოუწოდებს, როგორც გურიის, აგრეთვე სხვა ადგილების კომიტეტებსა და საზოგადოებათ, თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ და პატივი სცენ მათთვის ტანჯულ ადამიანს.

მიხაილოვის გიმნაზიის მოწაფე

იაკობ ვასილის ძე გიორგაძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების აღსანიშნავათ, შაბათს, 20 მაისს, სოფ. უჩხობში იქნება გადახდილი პანაშვიდი, მისი სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს მშობლები და ნათესავები: ვასილი და ნატალია, ძმები გიორგი, ვანო, ლონგინოზ, გერმანე, დები ელენა და ბაბინა.

თფ. მუშათა დეპუტატების საბჭო

დღეს 18 მაისს, საღამოს, მესამე ქალთა გიმნაზიის დარბაზში (ველიამინოვის და ბებუთოვის ქუჩ. კუთხე) მოხდება

არაჩვეულებრივი სხდომა

მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრებისა. განიხილება დღის წესრიგი მომავალ კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების დელეგატების ყრილობისა. დღის წესრიგი: 1) მუშათა კითხვა, 2) მიწის საკითხი, 3) სურსათის საკითხი. **აღმს. კომ. ბიურო.**

კვირას, 21 მაისს რეალურ სასწავლებელში მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, აგრეთვე წევრი პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტისა **ა. გ. ზურაბოვი** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე:

სამინისტროს კრიზისი და დემოკრატიის უახლოესი მიზნები

ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება სასახლეში პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიუროში.

შაბათს, 13 მაისს მესამე ქალთა გიმნაზიის შენობაში შესდგება **ლექცია ხმირნოვისა.** თემა:

აგრარული საკითხი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები 1 მ. 50 კ.,—50 კ. იყიდება პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიუროში (სასახლეში) ლექციის, დღეს საღამოს 6 საათ. თვით გიმნაზიაში.

კვირას, 21 მაისს, დილით 11 საათზე, ხარფუხის კლუბის საზაფხულო შენობაში, მიხაილოვის პროსპექტზე № 131 დანიშნულია **თფილ. კოოპერატიულ საზოგადოება „შრომის"**

საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები: 1) ანგარიშის განხილვა; 2) ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 3) მიმდინარე საქმეები; 4) გამგეობის და სარ. კომისიის წევრთა არჩევნები.

სტუდენტი პეტროგრადისა უნივერსიტეტის (ყოფილი მასწავლებელი) **ამზადებს** ყველა უწყების პირველ დაწყებითი, დაბალი და საშუალო სკოლებისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხი და წოდებაზე. ვერა, ყაზბეგის ქუჩა, № 5.

ექიმი გ. გ. ვეშაპიძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. გ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვეშნიკოვისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

გ. გ. მეგრელიშვილი
შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გახსნილ და წამლობა სხივებით. აგრეთვე **უველანაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა:** თავისუფლების, —ტრიპით. **დიდი სალინოიდი სპეციალური** მოყობა **და არსონვალის ტოკით ფილტვების** ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭლექის, სისხლ ნაკლებობის, ქსიფილის, ნევრალგიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობისთვის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს **ბავშვთა** და **შინაგანი** სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქ უ თ ა ი ს ი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავამყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

თფილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის კოლექტივის ბიურო რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა, № 1). იქვე მიიღებიან წევრები დილის 10—12 საათამდე, საღამოს 4—7 საათ.

რევოლიუციის წინააღმდეგ.

რამოდენიმე დღეა, რაც კოალიციონური სამინისტრო შედგა. პირველ დღეებში ბურჟუაზიულმა პარტიებმა და პრესამ მას დახმარება აღუთქვეს. ჩვენ ეს თავიდანვე თვალთმაქცობათ ჩავთვალეთ. მართლაც მას შემდეგ, რაც სამინისტრო პ. მილიუკოვმა და ა. გუჩკოვმა დასტოვეს, აშკარა იყო, რომ ზომიერი საზოგადოება ახალი მთავრობის წინააღმდეგ ამხედრდებოდა. ასედაც მოხდა.

რევოლიუცია უპირველესათ მუშათა კლასისა და ჯარის საქმეა. მეფის ტახტის დამხობა მათ შეერთებულ გამოსვლას მიეწერება. გარდა პოლიტიკური ცვლილებისა ისინი თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც შეუდგნენ. სალდათები ჯამაგირის მომატებას ითხოვენ, და მიზანს რამოდენიმეთ კიდევაც მიაღწიეს. მუშები ნორმალური სამუშაო დროის დაწესებას და ხელფასის მომატებას ელტვიან. ეს ემუქრება ერთი მხრივ სახელმწიფო ხაზინას, რომელიც დღემდის მემამულეთა და ბურჟუაზიის გამდიდრების იარაღს წარმოადგენდა, აგრეთვე კაპიტალისტთა მოგებასაც ამცირებს.

და აი, მთელ ბურჟუაზიულ პრესაში მორთეს განგაში. მართალია რევოლიუციის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას ჯერ კიდევ ვერ ბედვენ, მარა ხალხში მას სახელს უტეხენ და თანაგრძნობას აკლებენ. „ნოვოე ვრემია" ფინანსიურ გაკოტრებას მოელის; კადეტური „რეჩი" მუშათა გამოსვლით უკმაყოფილოა, მრეწველობის დაცემას გვიწინასწარმეტყველებს. ამასვე იმეორებენ სხვადასხვა ენაზე დანარჩენი ბურჟუაზიული გაზეთებიც.

გამოდის, რევოლიუცია ძირს უთხრის ქვეყნის ფინანსიურ კეთილდღეობას და ეკონომიურ დაცემას ამზადებს! კადეტები სდუმდენ მაშინ, როცა მეფის მთავრობა ხალხის ქონებას, უდიერათ ფლანგავდა, და ამეტყველდენ მაშინ, როცა რევოლიუციამ ფინანსიური მეურნეობის განახლებას შეუდგა. აბსოლიუტიზმმა შებოჭა საწარმოვო ძალები და მათ გასაქანს არ აძლევდა. მარა ამას კადეტები რამოდენიმეთ მაინც ითმენდენ, ხოლო, როცა მუშათა კლასი დაირაზმა, ძლიერი კავშირები მოაწყო და მრეწველთა ზედმეტი მოგების ხაზინაში გადაცემას მოითხოვს, კადეტები ვაჭრობა-მრეწველობის დაცემაზე მოსთქვამენ.

ცხადია, ბურჟუაზია თანდათან რევოლიუციონურ ბანაკს შორდება. მარა ის ჯერ სუსტია, რომ აშკარა გამოსვლა გაბედოს. ამიტომაც არის პარტიზანულ თავდასხმას არჩევენ და რევოლიუციის სახელის გატეხას ლამობენ.

ფუჭი ოცნებაა! რევოლიუცია გაიმარჯვებს, თუ კი ის დააკმაყოფილებს მუშათა, ჯარისა და გლეხთა უმთავრეს მოთხოვნილებებს და ძირბუდიანათ გადაქმნის რუსეთის ფინანსიურ შენობას, არა და მას მართლაც დამარცხება მოელის. ბურჟუაზიის ყორანთა ჩხავილი რევოლიუციონურ დემოკრატიას ვერ დააფრთხობს და ერთხელ არჩეულ გზაზე ხელს ვერ აალებინებს.

ფინანსიური კრიზისი.

საერთაშორისო ომმა რუსეთის ისედაც დასუსტებული ფინანსიური მდგომარეობა შეარყია.

შინგარიოვი მეტათ სამწუხარო სურათს გვიხატავს. მისი განცხადების მიხედვით გადასახადებს აღარავინ იხდის, „თავისუფლების სესხის" განაღდება, მისი რეალიზაცია საჭირო ტემპით ვერ მიმდინარეობს. გლეხთა ყრილობაზე წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ბაზარზე პურს აღარ გამოიტანენ, უკეთუ სამაგიეროთ საჭირო ქსოვილებს და რკინეულობას არ მიიღებენ. ასეთ ეკონომიურ და ფინანსიური მდგომარეობის გამო აღნიშნავს შინგარიოვი—მთავრობა იძულებული გახდა ქაღალდის ფულის გამოცემა გაძლიერებია. ახლა ჩვენი მანქანები ყოველდღე 30 მილიონ მანეთის ქაღალდის ფულს სჭრის. მიუხედავათ ამისა, აუარებელი ქაღალდის ფულის გამოშვება ეკონომიურ ცხოვრების სფეროში გაცვლა-გამოცვლის საქმეებს ვეღარ აწესრიგებს.

ეჭვს გარეშეა შინგარიოვის ფინანსიური სურათი სინამდვილესთან დაახლოვებულია, ბურჟუაზიულ კლასების მიერ დაწყებულმა მსოფლიო ომმა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში წარმოუდგენელი კრიზისი გაამეფა. წარმოების ყველა დარგებში მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი საგნები შედარებით ნაკლები მზადდება. მრეწველობას და სასოფლო მეურნეობას შრომა და კაპიტალი გამოეცალა.

მრეწველობა-მეურნეობაში საწარმოვო ძალთა დაქვეითებამ კი, როგორც მოსალოდნელი იყო ფინანსიური კრიზისი გამოიწვია.

საზოგადოთ ფული საერთო ნაციონალური ნაწარმოების ეკვივალენტია და უკეთუ თვით ნაწარმოების დამზადება კლებულობს, ფულის ნორმალურ ტრიალს ნიადაგი ეცლება და ფინანსიური კრიზისი წარმოუდგენლათ ძლიერდება.

აქ ქაღალდის ფულის გამრავლება, მილიარდობით კრედიტის გამოშვება ეკონომიურ ცხოვრებას კალაპოტში ვერ ჩააყენებს, პირიქით, იგი უფრო მეტათ არევ დარევას გამოიწვევს და სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობას უფსკრულის კარამდე მიიყვანს.

დიახ, აწმყო ფინანსიურ მეტის-მეტათ უნუგეშო მდგომარეობას ნიადაგი ბურჟუაზიულ და საზოგადოთ გაბატონებული კლასების საგარეო პოლიტიკამ მოუმზადა და მისი გამოსწორება მხოლოდ იმ არსებითი მიზეზების მოსპობით შეიძლება, რომელსაც მსოფლიო ომი ეწოდება.

მაგრამ ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგები და მათი მოსარჩლე პოლიტიკური მოღვაწენი მაგვარ მიზეზის გამო არაფერს ამბობენ, მას შეჩერების წინააღმდეგ დროის შესაფერ ზომებს არ იღებენ. ისინი მხოლოდ ფინანსიური კრიზისის გარშემო ცრემლებს აფრქვევენ.

რუსეთის ბურჟუაზიულმა კლასებმა ახლა ახლა ფრონტი იცვალეს; დღემდის თუ ისინი ფინანსიური კრიზისის შესახებ არ ლაპარაკობდენ, მის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ არაფერს არ ამბობდენ დღეს ისინი საქვეყნოთ გაიძახიან: სამშობლო განსაცდელშია, ფინანსიური კრიზისი აუცილებელიაო.

ახლა ისინი დროებითი საშვალებების გამოძებნასაც კი ვეღარ ახერხებენ და საქმე მთლათ წაგებული გონიათ.

ბურჟუაზიული კლასების ასეთი ოინები არა ახალია ძველია. მას მუდამ ჩვეულებათ აქვს, როცა ეს მისთვის საჭიროა სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა ავათ დაასურათოს. დღეს მისთვის ხელსაყრელია ფინანსიური კრიზისზე საქვეყნოთ ილაპარაკოს. ასეთი აგიტაციის მეოხებით იგი ერთი მხრივ თავის პოლიტიკურ პრესტიჟს ასწევს და მეორე მხრივ ისედაც გაჭირებულ ხალხს აიძულებს ყოველგვარი გადასახადები პირუთვნელათ გადაიხადოს და ამ გზით მთელს სახელმწიფოს დავალიანების მთელი სიმძიმე თავს ადვას.

მაგრამ რევოლიუციონურ ხალხს საშუალება აქვს მთელი ფინანსიური სიმძიმე იმათ დააკისროს, ვინც ომის მეოხებით უთვალავი მილიონები შეიძინა და თავიანთ ქონება წარმოუდგენლათ გაადიდა.

ამიტომაც არის დემოკრატიის ინტერესების დამცველი დროებითი მთავრობის წევრები—სკობელევის პირით მოითხოვენ შეძლებულ კლასების მოგებიდან 100 პროცენტი ხაზინის სასარგებლოთ მიითვისონ და ასეთი დემოკრატიული ზომების მეოხებით ფინანსიური კრიზისი გაანელონ.

ახლა დადგა დრო, როცა მთელი ნაციონალური კაპიტალი სახელმწიფოს სასარგებლოთ უნდა მუშაობდეს და ის უზომო მოგება, რომელიც დღევანდლამდის ბურჟუაზიული კლასებისა და მემამულეების სასარგებლოთ გროვდებოდა, სახელმწიფოს სასარგებლოთ მიდიოდეს.

აი ასეთი და სხვა დემოკრატიული გადასახადების მეოხებით დროებით რევოლიუციონურ მთავრობას საშუალება მიეცემა ხალხს მდგომარეობა შეუმსუბუქოს და ომის გათავებამდის ფინანსიური კატასტროფა თავიდან აიცილოს. ხალხის მართველობა ერთათ-ერთი თავდებია ომისაგან გამოწვეულ არა ჩვეულებრივ ფინანსიურ და ეკონომიურ კრიზისის დამღუპველი შედეგები თავიდან აიშოროს და მით სახელმწიფოებრივი მდგომარეობა დროის შესაფერ პირობებში ჩააყენოს.

პრესა.

„რა ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია"-ო, სთქვა დიდებულმა მგოსანმა და ეს სიტყვები ზედ გამოჭრილია ჩვენს სოციალისტ-ფედერალისტებზე.

ამ უილაჯო პარტიას თავის საკუთარი არც პროგრამა მოეპოვება, არც ტაქტიკა.

პირველს იგი რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერებისგან სესხულობს, მეორე ზოგს ჩვენგან, ზოგს ბოლშევიკებიდან და ასე შეზავებული შერესილი სახით წარმომდგარი ყოყოჩობს, დახეთ რა რევოლიუციონერი ვარო.

ფრონტის სიეზდზე რუსეთის გლეხთა წარმომადგენლებმა თავის ძველი თემური წყობილება არჩიეს ცხოვრების ახალ ფორმების შემოღებას, რასაც თავის გასამართლებელი საბუთი აქვს რუსეთის გლეხობის ჩამორჩენილ ეკონომიურ ცხოვრების პირობებში.

ჩვენი ფედერალისტები კი შემჯდარან ჯოხებზე და გაიძახიან ჩვენც „სოციალიზაცია" გვიწერია პროგრამაშიო.

ასე წათამამებულნი პირ-აქეთ გვესხმიან თავს და ჩვენ აგრარულ პროგრამას ე. ი. მიწის მუნიციპალიზაციას, თვითმართველობების ხელში გადაცემას აკრიტიკებენ. განსაკუთრებით ვარჯიშობს აკ. პ—ვა, „სახალხო ფურცლის" № 865-ში. ის პათეთიურათ გაიძახის:

> „ნუ თუ სოციალდემოკრატები, რომლებიც მუდამ ებრძოდენ დეცენტრალიზაციის პრინციპს, დღეს მისი თავგამოდებითი დამცველნი გახდნენ? როგორღაც უჩვეულოა ჩვენთვის მათი სიტყვები და დასაბუთება".

წარმოიდგინეთ მას ეჭვიც კი ეპარება ჩვენს გულწრფელობაში.

მას უკვირს, რომ ჩვენ მიწის საკითხის გადაწყვეტა გვსურს ადგილობრივ პირობების მიხედვით, რადგან ვხედავთ ამ პირობების სხვადასხვაობას რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში.

ავტორის გაკვირვება უკანასკნელ წერტილამდე აღწევს, საცა ის იგონებს, რომ ჩვენ თავგამოდებით ვებრძოდით ფედერალისტთა ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას:

> „მუდამ გვდევნიდენ ისინი, ე. ი. ჩვენ, წუწუნებს ის, როცა ეროვნულ ინტერესებზე და სხვადასხვაობაზე ვლაპარაკობდით. განა ჩვენ ამასვე არ ვამბობდით, რომ შეუძლებელია ვეებერთელა რუსეთის სივრცეზე მცხოვრებთ, რომელთაც ახასიათებს კულტურული, გეოგრაფიული, ეკონომიური, ეთნოგრაფიული სხვადასხვაობა, ერთის საზომით მივადგეთ, რომ არ შეიძლება მათი ინტერესები სავსებით ცენტრმა დაიცვას და საჭიროა ყოველთვის ადგილობრივ პირობების მიხედვით მათი ინტერესების შესწავლა და განსაკუთრებული კანონის შექმნა. და რამდენათაც ერი, ვამბობდით ჩვენ, კომპაქტიურ ერთეულს წარმოადგენს ამ დიდ სივრცის რომელიმე ნაწილზე და თავისი ინტერესები აქვს, ინდივიდუალობაა და განსხვავებულ კანონებს მოითხოვს".

ასეთი გადაჭრა კითხვის ავტორს მიაჩნია დემოკრატიულ გადაჭრათ.

რასაკვირველია, ავტორის საკუთარი ფანტაზიაა, თითქო ჩვენ არ ვაქცევდეთ ყურადღებას ადგილობრივ განსაკუთრებულ ეკონომიურ და ეროვნულ პირობებს. პირიქით მესამე მუხლი ჩვენი პროგრამისა სწორეთ ასეთ განსხვავებაზე ლაპარაკობს. აი ეს პუნქტიც:

„საოლქო თვითმართველობა იმ ადგილებში, რომელნიც განსხვავდებიან თავისებურ ყოფა-ცხოვრებით და გვარტომობით".

აქ სწორეთ ლაპარაკია ეკონომიურ, ეროვნულ და კულტურულ სხვადასხვაობაზე.

მარა ფედერალისტი რის ფედერალისტი იქნება თუ სხვისი პროგრამა არ გადაამახინჯა? აკ. პ—ვაც არ ღალატობს ამ ფედერალისტთა წმინდა მცნებას.

მას ის აჯავრებს, რომ ჩვენ ფედერალისტთა ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას არ ვიზიარებთ, სწყინს, რომ ჩვენ პოლიტიკურ კანონმდებლობას, რაც საზოგადო, საყოველთაო მოთხოვნილებაა ყველა მცხოვრებთათვის, ცენტრს ვაკუთნებთ და არა ცალკე ქართველობას. მარა კიდევ უფრო უკვირს როცა ჩვენი ხალხისთვის ისეთ აგრარულ პროგრამას ვქმნით, რომელიც მის ცხოვრების პირობათა სხვა და სხვაობას შეეფერება.

გასაკვირველი კი აქ სრულიად არაფერია. ჩვენ ვიცავთ დეცენტრალიზაციას იქ და იმდენათ, რამდენათაც ამას ხალხის, მშრომელი მასსის ინტერესები მოითხოვს.

ჩვენ ვებრძვით დეცენტრალიზაციას იქ და იმდენათ, რამდენათაც იგი მხოლოდ გაბატონებულ კლასების ინტერესებს ემსახურება.

ბი ამიტომ ვიცავთ ჩვენ აგრარულ საკითხში დეცენტრალისტურ პრინციპს—მუნიციპალიზაციას.

ამისთვის უარვყოფთ ფედერალისტთა ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას.

ახლა ჩვენ თვითონ ვეკითხებით ბ. აკ-პ—ვას:

რათ იცავს იგი ცენტრალიზაციას სწორეთ აგრარულ საკითხში, სადაც ეკონომიურ პირობათა სხვადასხვაობა აშკარა ფაქტია და რათ გაურბის ასეთ ცენტრალიზაციას პოლიტიკურ საკითხებში?

ვის ინტერესებს ემსახურება ის? გლეხის თუ ბურჟუაზიის?

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 13 მაისი.)

გლეხები ჯარისთვის პურს არ ზოგავენ.

ტამბოვი. 13 მაისი. სხვადასხვა მაზრების გლეხებმა ჯარის საჭიროებისათვის სადგურებზე დიდძალი ხორბალი მოიტანეს.

დეზერტირების გამოცხადება.

მინსკი. ამ ბოლო დროს სამხედრო უფროსთან დეზერტირები ცხადდებიან. ზოგიერთა ჯარის კომიტეტები თხოულობენ, რომ დეზერტირებს მიწები არ მიეცეთ და მათ ცოლებს „პაიკები“ მოესპოთ.

სამღვდელოებასა და გლეხებს შორის უთანხმოება.

რიაზანი. სოფლებში გლეხები ღვდელმოქმედებისთვის ფულის გადახდაზე უარს ამბობენ. თვითეულ ღვდელ მოქმედებაზე ერთი შაური დააწესეს; ვინც წინააღმდეგი იქნება უფლება აქვს სამსახურს თავი დაანებოს. საეკლესიო მამულებს გლეხებმა დახვნა დაუწყეს.

გლეხები ებრაელების წინააღმდეგ.

კიშინოვი. მალინცის, გროზნიცის და ბოჩკოუცის გლეხებმა დაადგინეს თავიანთ სოფლებში ებრაელები არ შეუშვან. ამის წინააღმდეგ მაზრის კომისარმა პროტესტი განაცხადა.

გლეხთა ყრილობის რეზოლიუცია.

პეტროგრადი. გლეხთა ყრილობამ დღეს დაასრულა კამათი ომის შესახებ და ისეთი რეზოლიაუცია გამოიტანა, როგორიც ფრონტების წარმომადგენელთა თათბირმა.

რეკვიზიცია.

კოპენჰაგენი. გერმანიის მთავრობამ დაადგინა რეკვიზიცია უყოს ყველა იმ ნეიტრალურ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც გერმანელთა ქვეშევრდომების ხელშია.

ადლერი სტოკჰოლმში.

სტოკჰოლმი. გუშინ სტოკჰოლმში მოვიდა ავსტრიელ ს. დემოკრატთა ბელადი ადლერი. ავსტრიელ დელეგატთა პატივსაცემლათ გამართეს ზეიმი, რომელსაც დაესწრენ ბულგარეთის, ფინლიანდიის, ამერიკის, ჰოლანდიის და დანიის დელეგატები და აგრეთვე შვეციის ზოგიერთი სოც.-დემოკრატები.

გერმანია პოლონეთის შესახებ.

ციურიხი. ლიუბლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანელები თანახმანი არიან რავკის, ბზურის და ნარევის ხაზს იქით დაიხიონ და დატოვებულ ადგილებში დანიშნონ რეგენტი. ზოგი ამაში პოლონეთის ახლად დაყოფას ხედავს.

სტუდენტთა გაფიცვა.

ციურიხი. ვარშავის სტუდენტთა გაფიცვა გრძელდება. გაიფიცენ ლვოვის უნივერსიტეტის სტუდენტებიც.

სასურსათო ყრილობა.

მოსკოვი. სასურსათო ყრილობამ მომენტის პირველ მიზნათ სცნო განმათავისუფლებელ ომის დასრულება, მოკავშირეებთან ერთსულოვნების განმტკიცება, მტკიცე ზავის ჩამოგდება, ისეთი ზავის, რომელიც უზრუნველჰყოფს სხვა და სხვა ერთა თვითგამორკვევას. და საუკეთესო სახელმწიფოებრივ ფორმათ რუსეთში აღიარა დემოკრატიული რესპუბლიკა, ადგილობრივ ფართე თვითმართველობით. მიზნების განხორციელება შეუძლია მხოლოდ ძლიერ მთავრობას. ყრილობა საჭიროთ სცნობს დაწესდეს მაგარი ფასები როგორც პურზე, ისე გლეხთათვის პირველ საჭიროების საგნებზე.

სამაზრო ყრილობა.

მოსკოვი. მოსკოვის გუბერნიის სამაზრო და სავოლოსტო ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც საჭიროთ სცნობს დაეხმაროს მთავრობას პურის მონოპოლიის შემოღებაში. დაადგინეს აგრეთვე, რომ გლეხებმა დაუყონებლივ შეიტანონ ყველა გადასახადები.

რუსეთის რევოლიუციის გავლენა.

იასსი. გამოქცეული ოსმალები და ბულგარელები ამბობენ, რომ რუსეთის რევოლიუციამ დიდი გავლენა მოახდინა ბულგარელებზე. ბულგარეთის ხალხი ხედავს, რომ ეხლა რუსეთის იმპერიალიზმს კი არ ებრძვის, არამედ რუსეთის თავისუფალ ხალხს და ეს დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს ჯარში.

ლოიდ ჯორჯის აზრი.

ლონდონი. თემთა პალატაში ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ამ უკანასკნელ დროს წყალ-ქვეშა ნავებთან ბრძოლამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. გაფიცვების შესახებ სთქვა, რომ მუშათა კითხვის გადასასინჯავათ მთავრობამ დანიშნა 7 კომისია სხვადასხვა ოლქებში არეულობის მიზეზების გამოსარკვევათ და საჭირო ზომების შესამუშავებლათ. სურსათის საქმის შესახებ ლოიდ ჯორჯმა იმედი გამოსთქვა, რომ ამ მხრით ინგლისს არავითარი საფრთხე არ მოელის.

დახმარება მუშებს.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა მისცეს ერთდროული დახმარება სამთომადნო ქარხნების მუშებს სიძვირის გამო.

მკერვალთა გაფიცვა.

ადესა. მკერვალთა გაფიცვა გათავდა. მოთხოვნილებათა უმეტესობა დააკმაყოფილეს.

ინგლისი და ამერიკა.

ლონდონი. თათბირის შემდეგ ინგლისის მისიამ დასტოვა შეერთებული შტატები. თათბირმა განიხილა ყველა კითხვები, რომლებიც შეეხებიან ამერიკის და ინგლისის ცხოვრებას. მრავალ კითხვებში პრინციპიალურად შეთანხმდენ.

მუშებმა ქარხანა ხელში ჩაიგდეს.

ადესა. 14 მაისი. „ვენის“ ქარხნის მუშებმა გადასწყვიტეს დასახელებულ ქარხანის წარმოებას უხელმძღვანელონ. მათ ეს საკითხი საბოლოოთ გადასაწყვეტათ სამხედრო სამრეწველო კომიტეტს და მუშათა დეპუტატების საბჭოს გადასცეს.

გერმანელები ბელგიელებს კონტრიბუციას ახდევინებენ.

სტოკჰოლმი. ვოლფის სააგენტოს ცნობით გერმანიის გენერალ გუბერნატორმა ბელგიის მცხოვრებთ 16 მილიონი მარკა სამხედრო კონტრიბუცია დააკისრა. კონტრიბუციას სესხის გამოშვების სახით აიღებენ.

ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ დემონსტრაცია.

მოსკოვი. ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მოსკოვის პროლეტარიატმა დემონსტრაცია გამართა. დიდძალმა დემონსტრანტებმა მთავარ ქუჩებზე ორკესტრით გაიარეს და ხელში ბაირაღები ეჭირათ შემდეგი წარწერით: „ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებთ“, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, თავისუფლებისათვის მებრძოლნი ციხეებიდან გაანთავისუფლეთ“, ძირს სიკვდილით დასჯა! დემონსტრაციაში გარნიზონის ჯარებმა მიიღეს მონაწილეობა.

კასტრომა. ამ დღეებში მოხდა დიდებული დემონსტრაცია ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ, დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ჯარმა და ხალხმა.

ასეთივე დემონსტრაცია მოხდა ნიჟნი-ნოვგოროდში.

სტამბის რეკვიზიცია.

ხარკოვი. მუშათა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით რეკვიზიცია უყვეს გაზეთ „უტროს“ სტამბას. სტამბის პატრონებმა დეპეშით მიმართეს თავ. ლვოვს, კერენსკის და პერევერზევს, გამოარკვიონ რამდენათ კანონიერია მუშათა დეპუტატების ასეთი მოქმედება.

ჰელსინგფორსი. ფინელ ს.-დემოკრატების გაზეთი „მიურომესი“ სწერს: როცა კერენსკი პირველად მოვიდა ჰელსინგფორსში ს. დ. პარტიამ მიმართა მას წერილობითი განცხადებით, რომ ფინელ ხალხს მიენიჭოს უფლება თვითონ აირჩიოს თავის ქვეყნის მართვა-გამგეობის ფორმა, აირჩიოს მთავრობის უფროსი, შეეძლოს სავაჭრო ხელ-შეკრულება დასდოს გარეშე სახელმწიფოებთან, რომ რუსეთს არ ყავდეს ჯარი მშვიდობიან დროს, ფინლიანდიაში, ერთი სიტყვით ფინლიანდიას მიენიჭოს სრული დამოუკიდებლობა ყოველ მხრით გარდა საგარეო პოლიტიკის წარმოების. შესაფერ აქტზე ხელი უნდა მოეწერათ სხვა სახელმწიფოებსაც“. გაზეთის სიტყვით კერენსკიმ გენერალ გუბერნატორის თანაშემწეს პირით შეატყობინა პარტიას, რომ მას მოსწონს ეს პროექტი, გარდა ერთი მუხლისა, რომელიც ეხება საერთაშორისო გარანტიას. მაგრამ როცა სენატმა წარადგინა პეტროგრადში ავტონომიის პროექტი, თვით კერენსკი სასტიკათ წინაღუდგა ამ პროექტს და თითქმის ის ფინლიანდიის მიერ ომის გამოცხადებათაც კი აღიარა. სახალხო სახლის წინ მან სიტყვით მიმართა რუს ჯარისკაცებს და გააფრთხილა ფინლიანდიელების შესახებ. ამ გაფრთხილებამ—ამბობს გაზეთი—ჩვენ გაგვაოცა. ფინლიანდია დიდი არ არის და არც შეიარაღებულია. და თუნდაც იარაღი ბევრი გვქონდეს, ჩვენ მას არ ვიხმართ რუსის ჯარისკაცების და მეზღვაურების წინააღმდეგ, რომლებმაც სულითა და გულით ფინლიანდიის ხალხის უფლებების მხარეზეა. რუს მუშას და გლეხს და ფინლიანდიის ხალხის უმრავლესობას ურთიერთის შიში არა აქვს. მინისტრის განცხადება—ჩვენი შეურაცხყოფაა“.

აფიცერთა დეპუტატების ყრილობა.

პეტროგრადი. აფიცერთა დეპუტატების ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც სიამოვნებით ეგებება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებას მოიწვიონ პირველ ივნისს მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და ფლოტის წარმომადგენელთა სრულიათ რუსეთის ყრილობა. ყრილობა დარწმუნებულია, რომ რუსეთის რევოლიუციონური ძალა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ხელშია, რომ ქვეყნის დასახსნელათ საჭიროა მტკიცე ძალა და ამ ძალას დღეს კოალიციონური სამინისტრო წარმოადგენს, რომელიც დამფუძნებელ კრებამდე პასუხისმგებელი უნდა იყოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წინაშე. დასასრულ ის მოუწოდებს რევოლიუციონურ ინტელიგენციას წავიდეს გლეხებთან და ჯარისკაცებთან და შეძლებისდაგვარათ განათლების სხივი შეიტანოს მათში.

მოგვაგონებთ მუშათა და გლეხთა საბჭოებს, რომ ოც მაისს გამოგზავნონ თავიანთი დელეგატები სიეზდზე დასასწრებლათ. დელეგატები უნდა გამოცხადდენ სასახლეში მუშათა საბჭოს ბინაზე.

ჯარისკაცის განცხადება.

ვარონეჟი. შინგარიოვის სიტყვას დიდი ალტაცებით შეხვდენ. ერთმა ჯარის კაცმა განაცხადა ამხანაგების დავალებით, რომ იგინი უარს ამბობენ მიმატებულ ჯამაგირებზე, კმაყოფილდებიან ათი შაურით თვეში და მზათ არიან დაუყონებლივ წავიდენ ბრძოლის ველზე. გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლითაც მოუწოდებენ გლეხებს გადაიხადონ გადასახადები.

ომის დეპეშები.

(პ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი 16 მაისი. დასავლეთის ასპარეზზე და რუმინიის ფრონტზე დროგამოშვებითი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე, ვანის სამხრეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ჰაეროპლანების მოქმედება. დაბა ბილიესჩის რაიონში, ფოკშანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერმა ჩვენი ჰაეროპლანი ჩამოაგდო. მფრინავი უნტერ-აფიცერი და მზვერავი პოლიჩიკი ტარხოვი დაიღუპნენ.

პარიზი. 14 მაისი ლაფოს წისქვილის ჩრდილოეთით მტრის იერიშები შევაჩერეთ მორუასა და მარონვილიეს რაიონში სასტიკი საარტილერიო სროლა დაიწყო.

შამპანში, ტეტონის რაიონში მდებარე პოზიციებზე მტერმა გააფთრებული იერიშები მოიტანა და ზოგიერთა სანგრები დაიკავა. მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკარგული სანგრები კვლავ უკან დავიბრუნეთ, დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

პარიზი. 15 მაისი. გერმანელმა კვლავ განაახლეს შამპანში იერიშების მოტანა. ახლაც მათი იერიშები მოვიგერიეთ. ბლონის მაღლობებზე მტერმა იერიშები მოიტანა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირას, „304“ მაღლობთან გერმანელებმა საარტილერიო სროლა გააცხოველეს. სროლა გაცხოველდა აგრეთვე ელზაში—უფგოლცის მიდამოებში.

მტრის მფრინავებმა ბაკარას რაიონში ყუმბარები ჩაყარეს, ზარალი უმნიშვნელოა. სამაგიეროთ ჩვენმა მფრინავებმა შამპანში მტრის პოზიციებში 700 კილოგრამი ყუმბარები ჩაყარეს, ტიონვილიის რაიონში გერმანელების 9 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

ლონდონი. 14 მაისი. საფრანგეთის ფრონტზე. სენ-კანტენის ჩრდილო დასავლეთით მტრის ჯარს მოულოდნელათ თავს დავესხით და იქიდან 18 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ლოოსთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სკარპის სამხრეთით გერმანელებმა საარტილერიო სროლა გააცხოველეს.

რომი. 14 მაისი. კარსოს სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ოდნავ წინ წაიწია. მიადატცას სამხრეთ-აღმოსავლეთით გამაგრებული „145“ მაღლობი დავიკავეთ; ამასთან ტყვეთ წამოვიყვანეთ 812 ჯარის კაცი და 34 აფიცერი და ხელთ ვიგდეთ ერთი საველე ზარბაზანი. პლავის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მაღლობები დაიკავა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 438 ჯარის კაცი და 10 აფიცერი.

წერეთლის სიტყვა.

პეტროგრადი. მაისის 13. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა წერეთელმა პირველად ილაპარაკა. შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, მინისტრმა სთქვა:—მთავრობის დეკლარაციას მიზნად ჰქონდა ომის დაბოლოვება უკონტრიბუციო და უანექსიო ზავით და ერთა თვითგამორკვევის უფლებითაო. ჩვენ, სოციალისტებს, ძლიერ გვაინტერესებდა თუ როგორ შეხედავდნენ ჩვენს დეკლარაციას მოკავშირე სახელმწიფოები. იმიტომ ყოველ საშუალებას ვხმარობდით, რომ სისწორით გაგვეგო და გამოგვერკვია მოკავშირე ქვეყნების დამოკიდებულება ჩვენთან. მათს ელჩებს ჩვენ გავაცანით რუსეთის დემოკრატიის ის უმთავრესი პრინციპები, რის განხორციელებაც ეხლავე აუცილებელია. ჩვენ გვეკითხებოდენ—საჭიროდ სთვლით თუ არა ხელშეკრულებების შესწორებასაო. ჩვენ ვუპასუხებთ, რომ მთავარ მუხლებში გაუგებრობა არ არსებობს, წვრილს საკითხებში კი შეიძლება შევთანხმდეთო. მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩებმა გვითხრეს, რომ ჩვენ მიერ წამოყენებულ ლოზუნგს—ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ—ისინიც იზიარებენ. ამ განცხადებას ჩვენ ისე ვუცქერით, როგორც რუსეთის დემოკრატიის დიდ გამარჯვებას. ჩვენ ამასთანავე საჭიროთ ვცნობთ, რომ ახლავე მოინახოს გზა, რომლითაც შემდეგ შეიძლებოდეს ყველა ქვეყნის დემოკრატების შეთანხმება. ინგლისის ელჩთან ვსაუბრეთ იმის შესახებ—გაუწევს თუ არა წინააღმდეგობას ინგლისის მთავრობა ინგლისის და რუსეთის დემოკრატების შეერთებას. ელჩმა ამის შესახებ თავისი მთავრობის აზრი არ გვითხრა, მაგრამ თავის მხრით სთქვა, რომ რუსეთის დემოკრატია უნდა იყოს თავისუფალი და დამოკიდებულება ინგლისის და რუსეთის დემოკრატიის შუა ძმური უნდა იყოსო. თავის მხრით ელჩი ამაში დახმარებას დაგვპირდა.

რაც შეეხება შინაურ საქმეებს, ჩვენ მთავარ საკითხს შეადგენს დამფუძნებელი კრების მოწვევა. ამას გარდა ჩვენი ყურადღება მიქცეული იყო ეკონომიურ საკითხზე. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ქვეყანა ეკონომიურ კრიზისს დაახწიოს. ახალმა მთავრობამ უკვე სთხოვა შრომის და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრებს ამ მოკლე დროში მოქმედების პროგრამა შეიმუშაონ. ამას გარდა ჩვენ მივაქციეთ ყურადღება სახელმწიფო დაწესებულებაში მომუშავეთ. მათი მდგომარეობა მეტის მეტად უნუგეშოა. საჭიროა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომები იქმნას მიღებული.

სკობელევის სიტყვა.

სკობელევი თავის სიტყვაში შეეხო შრომის სამინისტროს მოწყობის საქმეს. ის იმ ფორმის გამოხატულებაა, რომლის შემწეობითაც დემოკრატია უნდა დაეხმაროს მუშათა კლასს. მეტის მეტ ექსპლოატაციისაგან შრომის სახელმწიფოებრივი დაცვა—აი ახალ სამინისტროს მთავარი მიზანი. ყველაზე მეტი ფართე ასპარეზი დათმობილი აქვს შრომისა და კაპიტალის შუა ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს. იქ სახელმწიფოებრივი უფლება ნეიტრალათ უნდა დარჩეს. ეს არის ორ ძალთა შეტაკება, რომლებსაც უნდა ჰქონდეს თავისუფალ მოქმედების სრული უფლება. მუშათა კლასი გავლენას იქონიებს მწარმოებლებზე მორიგებულ კამერების საშუალებით. თუ ამ გზით შეთანხმება არ მოხდა, სახელმწიფო უნდა შეეცადოს თავის ავტორიტეტით მოარიგოს ეს ორი კლასი და თუ ამ ზომამაც არ გასჭრა, მაშინ მოხდება აშკარა შეტაკება ამ ორ კლასთა შუა. ჩემი ვალია ვსთქვა, რომ რუსეთის მეურნეობა დაღუპვის კარებზე სდგას, მეურნეობის გამოსაბრუნებლათ საჭიროა დიდი ზომების მიღება და ხაზინაში კი გროში არ არის.

ქაღალდის ფულების გამოშვება ხალხის მოტყუებაა. საჭიროა შევქნათ მეტი რეალური ღირებულება, მაგრამ შეუძლებელია ეს ერთ და ორ დღეს გაკეთდეს, ჯერ საჭიროა გამოვართვათ ფულები მწარმოებლებს და ბანკებს. კაპიტალისტებზე გადასახადების გაწერა სადღეისო საკითხია. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეხლავე გავაღოთ მათი კასები და ფულები წამოვიღოთ. არის სხვა საშვალებები, ეს—სამხედრო ზედ-მეტი მოსაგები და გადასახადები. მწარმოებლებს წარსული წლების გადასახადები უნდა გამოვართვათ. დროებითი მთავრობამ დაავალა ფინანსთა მინისტრს შეიმუშაოს სამხედრო გადასახადის კანონ-პროექტი, რომლითაც 100 პროცენტამდე გადასახადი უნდა დაადვან. რომ მოსაგები მივიღოთ წარსული წლების, საჭიროა მწარმოებლებს დავადვათ პროგრესიული შემოსავლის კვალობაზე გადასახადი, შესაძლებელია კაპიტალისტებს წინადადება მივსცეთ დროებით მოსაგებს თავი დაანებონ. როცა სახელმწიფო მიიღებს ფულებს, ის მოაწესრიგებს სამუშაო ქირას და შრომის პირობების საქმეს. საჭიროა აგრეთვე წარმოების ორგანიზაცია. უნდა მოისპოს საფუფუნებელ საგნების წარმოება და მის მაგიერ მუშები პირველ საჭიროების საგნებს გააკეთებენ. ყველაზე მეტათ საჭიროა სამთომადნო და ლითონის წარმოების საქმის მოწესრიგება. საბედნიეროდ ამ დარგში შემდგარია სინდიკატი და მთავრობამ უნდა უთხრას მათ: თქვენ უნდა გადაიხადოთ შრომის ბეგარა. ჩვენ უნდა მივცეთ მათ დირექტორები და ხაზინადრები, ძალა დავატანოთ იმუშაონ ქვეყნისთვის და უარი არ სთქვან მუშაობაზე, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია გადასწყვიტოს რა წარმოებებია მისთვის ეხლა საჭირო. ყველაზე მეტათ მნიშვნელოვანი საკითხია ეხლა შრომის პირობების მოწესრიგება. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები მიეცეთ სამუშაო უმუშევრებს, რომლებიც დარჩებიან უმუშევრათ წარმოების შეჩერების გამო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის რევოლიუცია მოაწესრიგებს სასურსათო საქმეს და მარხვა აღარ იქნება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ ჩვენ მაძღრები ვიქნებით სულ მაძღრები მართალია არა, მარა სურსათი ყველაზე განაწილებული იქნება. რაც ადრე შევსწყვეტთ ომს, ისე ადრე შევსწყვეტთ შიმშილობასაც. რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია დანის-პირზე ტრიალებს. ჩვენ ვდგევართ უფსკრულის პირათ. ან საერთაშორისო დემოკრატიის ერთი ყალბი ნაბიჯი დაღუპავს რუსეთის რევოლიუციას, რადგან ყველა საკითხებს საგარეო პოლიტიკასთან აქვს დამოკიდებულება. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ყველა ქვეყნის რევოლიუციონური დემოკრატია ზავს ჩამოაგდებს. აღმასრულებელი კომიტეტი იკისრებს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას. უკანასკნელ ცნობებით, ჩვენს ინიციატივას შეუძლია ყველა ქვეყნის სოციალისტები შეაერთოს.

ჩერნოვის სიტყვა.

ჩერნოვის გამოსვლას დიდი ტაშისცემით და „მოგვეცი ჩვენ მიწა“-ს ძახილით შეხვდენ. ჩერნოვმა აღნიშნა, რომ მიწათმოქმედების სა-
მინისტრომ უნდა შეიმუშაოს კანონპროექ
ბის მთელი [illegible], სოფელს საჭ
მოო მანქანები, სათესლე და მუშა ხელი.
წის ყველა საკითხების გამოსარკვევათ საჭ
როა სტატისტიკური ცნობები. სამინისტ
დიდი სამუშაო აქვს მოახდინოს აღწერა, რ
მელმაც უნდა ნათელ ჰყოს რამდენი მიწაა
რა დამოკიდებულება არსებობს ამ მხრ
რომ დამფუძნებელი კრება ყველა საშუ
ბით შეიარაღებული გამოვიდეს იმ საკით
გადასაწყვეტათ, რომ მიწები ხალხის საკ
რება გახდეს. ამ აღწერით ის შეადგენს ახ
კოდექს, რომელსაც საფუძვლათ დაედე
შრომა. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არ
თვითმართველობის პირველი ქვა, „სავოლო
სტო“ ერობა. აქ სავსებით გატარებული
ნება კოლეგიალური პრინციპი. შემდეგი
თხვა შეეხება მიწის ყიდვა-გაყიდვას და
გირავებას. რაც ამ მხრით რევოლიუციამ
მოხდა მნიშვნელობას ჰკარგავს. ჩქარა მინ
ტრი გაემგზავრება, რომ ადგილობრივ გამ
იკვლიოს საქმის ვითარება. საჭიროა გამო
კეს საკითხი ყაზახთა მიწების შესახებ და

ახალი ამბები

22 მაისისთვის მუშათა კომისიის სხდო
მოხდება საღამოს 5 საათზე. დღის წესრიგ
1) ზედმეტი სამუშაო; ა) როდის შეიძლ
დაშვებულ იქნას ზედმეტი სამუშაო, ბ) მი
ქირა; 2) საწარმოო კოოპერაცია; 3) 6 ს
ათის სამუშაო დღის შემოღება უმე დღ
წინ; 4) სამუშაო ქირის მინიმუმი;
სამუშაო ქირის გათანაბრება ერთგვარ
მუშაოებისა; 6) მუშათა კურიის წარმ
დგენლობა; 7) შრომის ბიურო; 8) სადავ
მყოფი კასების გაერთიანება. მუშათა კომ
სია სთხოვს ამხ. ნაც მახარაძეს, შვარცს, ა
სენიძეს და ზურაბოვს მოამზადონ მოხსენე
ნი ამ კითხვათა შესახებ.

◆ **განთავისუფლებულ პოლიტიკურ
დახმარება.** მუშათა დეპუტატების საბჭ
აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსებულ მ
ნისტრით განთავისუფლებული პოლიტიკურ
დამხმარე კომისიიდან პირველ მაისამდე
ხმარება მიიღო 136 პირს. ფულით დახმა
ბა მიიღო 132 კაცმა, სულ 9715 მანეთი მ
წყობილია საერთო ბინა და ახლა ამ საერ
ბინაზე იმყოფება 20 კაცი, ამ ბინაზე
აქვთ სრული პანსიონი. სამუშაო იშოვნეს
მთხოვნელიდან 32 კაცმა. ავათმყოფ პო
ტიკურებს დახმარებას უწევენ ექიმები. ფუ
გროვდებოდა წარმოდგენების, კონცერტებ
და ლექციებისაგან და სხვა წყაროებიდან.

◆ კომისარმა კიტა აბაშიძემ მიიღო
დიგი დეპეშა ხონიდან: ხონის რაიონის
ბალ სასწავლებლის მრავალრიცხოვანი
წავლებელთა კრება, რომელთა მატერია
რი მდგომარეობა მეტათ უმწეოა, მოით
ახლავე მიეცეთ მათ ყოველდღიური პრო
ტული მომატება გასული სექტემბრიდან
კიდებული და აგრეთვე ხუთ-წლიური. თ
მჯდომარე ქავთარაძე.

◆ ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის სოცია
დემოკრატიაში კარგათ ცნობილი ემილ ს
ბილაძე (პარიზელი). ის ტფილისის სოც.-დ
ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის სასამ
თლოს მიერ ციმბირში იყო გადასახლებუ

◆ **თელავიდან დეპეშით გვატყობინებ**
დეზერტირები ასობით ბრუნდებიან სამხედ
საკრებულოში და თხოულობენ ფრონტზე გ
გზავნას. მუშათა და ჯ.-კაცთა საბჭომ ა
შესახებ მოწოდება გამოუშვა მოქალაქ
მიმართ.

◆ „ალიონის“ რედაქცია კვირას 21 მა
სახალხო სახლში გამართავს ლ. დარჩიაშ
ლის დილას. მონაწილეობას მიიღებენ: გ.
ხაძე, ლეო შენგელაია—ქაჩელი, შ. შარაშ
ლიო ნათაძე, ჰ. საყვარელიძე, გ. ქუჩიშვ
და სხვები.

◆ 16 მაისს არტისტიულ თეატრის შე
ბაში გაიხსნა კავკასიის მასწავლებელთა დ
ლეგატების ყრილობა. ჩამოსულია 300 დ
ლეგატი. კრება გახსნა მელიქ-შახნაზაროვ
რომელიც ვრცელი სიტყვით მიესალმა მ
წავლებელთა კრებას. შემდეგ სიტყვები წ
მოსთქვეს სხვადასხვა პარტიის წარმომადგ
ლებმა.

◆ 16 მაისს მოხდა სხდომა მუშათა დ
პუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომ
ტეტისა. დაწვრილებით ცნობებს ხვალინდ
ნომერში მოვათავსებთ.

◆ გუშინწინ, 16 მაისს განსაკუთრებ
ამიერ კავკასიის კომიტეტის წინაშე გამოცხა
დდა ჯარში გასაწვევთა და დეზერტირებ
მიტინგის მიერ გამოგზავნილი სამი დელე
ტი, რომელთაც შემდეგი მოთხოვნილებ
წამოუყენეს კომიტეტს: 1) სასოფლო საზ
ოებისთვის ყოველ ოჯახში დატოვებულ იქ
თითო კაცი; 2) ვინც პროტექციითა და ს
არა-კანონიერი საშუალებით განთავისუფ
ბულნი არიან, ხელახლა შემოწმებულ იქ
და ფრონტზე გაიგზავნონ; 3) ყველა ხელო
ნი და მუშა, რომლებიც აქამდი მუშაობ
გაგზავნილ იქნენ ფრონტზე და მათ მაგ
გადმოყვანილ იქნან აქამდე ფრონტზე მყოფ
მუშები; 4) შესდგეს სოფლად კომი
ხუთი კაცისაგან შემდგარი დეზერტირებ
აღმოსაჩენათ. კომიტეტმა ამის შესახებ მ
უპასუხა, რომ იგი შეეკითხება პეტროგრა
და თვით კი არაფერი დადგენილების გამო
ტანა არ შეუძლია ამის შესახებ.

კრებები და მიტინგებ

დღეს, 18 მაისს, საღამოს 7 ნახ. საათ
ამხ. ნათაძე წაიკითხავს მოხსენებას ნაციონ
ლურ კითხვაზე პროპაგანდისტთა კოლეგი

— პარასკევს, 19 მაისს, საღამოს 8 საათ
მესამე საქალებო გიმნაზიაში ამხ. სმირნ
წაიკითხავს ლექციას: აგრარული საკი

ბილეთების ფასი მანეთიდან ათ შაურამდე.
პროპაგანდისტთა კოლეგიის ბიურო.

— დღეს, 18 მაისს, საღამოს 6 საათზე, მესამე საქალებო გიმნაზიაში (ველიამინოვის ქ.) მუშათა დეპუტატების არაჩვეულებრივი კრება შესდგება. კრებას ექნება მსჯელობა მომავალ კავკასიის საოლქო მუშათა და გლეხთა დეპუტატების ყრილობის შესახებ. დღის წესრიგი: 1) მუშათა კითხვა, 2) მიწის საკითხი, 3) სასურსათო საკითხი.

— შაბათს, 20 მაისს, 4 საათზე, დანიშნულია ქართველ მარქსისტ სტუდენტთა კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ უსათუოთ დაესწრონ და არ დაიგვიანონ. კრება მოხდება სასახლეში მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დარბაზში.

პროვინციის ქრონიკა.

თელავი. როგორც იქნა შეუდგენ არსებული კომიტეტის რეორგანიზაციას. ამ მიზნისთვის უკანასკნელ სხდომაზე ოთხშაბათს 10 მაისს არჩეული იქნა კომისია 9 კაცისგან, რომელთაც დაევალათ დაუყონებლივ შეუდგენ საქმეს. ამავე კრებაზე იყო დადგენილი, რომ საჩქაროთ იქნას გამოშვებული მოწოდება, როგორც აღმასრულებელი კომიტეტის ხელ მოწერით ისე ყველა არსებული პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ. „დეზერტირების“ მიმართ, რომ ისინი დაუყონებლივ დაბრუნდნენ ჯარში, წინადადება მიღებული იქნა ერთხმათ.

— 20 მაის განზრახულია გაიმართოს თელავში „დიდი თავისუფლების საღამო“ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სასარგებლოთ. როგორც პროგრამიდან სჩანს საღამო მეტათ შინაარსიანი და ორიგინალური იქნება.

— 11 მაის ადგილობრივმა ს. დ. ორგანიზაციამ გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულ ამხ. ლადო დარჩიაშვილის სულის მოსახსენებლათ. ილაპარაკეს ამხ. რაფიელ ჩიხლაძემ, ამხ. სოსო მაჭავარიანმა და ამხ. თამარა ხარსელმა. ხალხი ბევრი დაესწრო.

— აქაურმა ს. დ. ორგანიზაცია შეუდგა მზადებას მომავალ პარტიულ კონფერენციაზე დასასწრებლათ, რომელიც განზრახულია მოიწვიონ ქ. თფილისში ამ თვის ბოლოს.

— გუშინ გაიხსნა პირველი ყრილობა ქალაქ თელავში ექიმების, ფერშლების, ფარმაცევტების ბებია ქალების—თელავის, თიანეთის და სიღნაღის მაზრების. ყრილობაზე გამოცხადდა 40-მდე დელეგატი თავჯდომარეთ აირჩიეს სიღნაღის ექიმი ჯანდიერი ნ. აუარებელი ხალხის თანდასწრებით ორგანიზაციების წარმომადგენლების მისალმების შემდეგ ყრილობა შეუდგა მუშაობას.

დ. ხონი. აქ შესდგა მასწავლებელთა კრება, აქაურ ფილიალურ განყოფილების წევრებისა. თფილისის ყრილობაზე დასასწრებლათ დელეგატათ აირჩიეს ილია რუხაძე, გიორგი ბახტაძე და ივანე ბახტაძე.

დ. ხაშური. ხაშურის რაიონის გლეხთა საბჭოებმა, 15 მაისს აირჩია დელეგატები თფილისის სიეზდზე დასასწრებლათ 20 მაისისათვის: თეიმურაზ ჭუმბურიძე, ნიკიფორე იმნაშვილი და ნიკო სიხარულიძე. ხაშურის რაიონში შედის 8 სასოფლო საზოგადოების საგლეხო საბჭოები—15000 კომლი მცხოვრებით.

სოფ. ქვალონი. აქ ძალიან გავრცელდა, საქონლის ჭირი, რაიც ეკონომიურად განადგურებას უქადის საზოგადოებას. ხსნა ვერ მოგვიხერხებია. ვთხოულობთ დახმარებას ვისგანაც ჯერ არს. საქმე სიჩქარეს თხოულობს.

სად. სამტრედია. გაიხსნა რკ. გზ. სამტრედიის რაიონის აღმ. კომიტეტის სამართველო სად. სამტრედიაზე. ამ რაიონში შედიან სუფსიდან მოყოლებული სად. მუხიანამდი და აბაშამდი ყველა სადგურის რკ. გზ. მუშა მოსამსახურეები. აღმ. კომიტეტში შედის 31 წარმომადგენელი და 3 წარმომადგენელი სამხედრო უწყებიდან. (რკ. გზ. ბატალიონიდან და ორი 110 პოლკის ჯარის კაცებისაგან). აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია თავჯდომარეთ გრიშა ჟორჟაძე, მდივნათ კირილე ჯაიანი. ბიუროში ნიკო ნინიძე, თედორე კალაძე, სტეფანე შენგელია, ი. ნიკოლაიშვილი და რაფიელ ქეკელიძე. კომიტეტის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს, თავის რაიონში სასტიკი თვალყური ადევნოს წესიერ მუშაობას.

— 22 აპრილს პრესის დღეს ყველა აღფრთოვანებით იხდიდა თავის წვლილს. ჯერ ჯერობით მოგროვდა 1155 მ. 60 კ. კიდევ არის შემოუტანელი ზოგიერთი ორგანიზაციებიდან.

— რკ. გზ. აღმასრულებელი კომიტეტი ენერგიულათ აწარმოებს დეზერტირების გადაყვანას. სრული წესიერება სწარმოებს.

დ. ყვირილა. ათ მაისს გაიხსნა ყვირილის რაიონის ფილიალური განყოფილება დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირისა. ყრილობის დადგენილება ზნეობრივათ ვალდებულს ხდის ყველა ხსენებულ რაიონის მასწავლებლებს — ჩაეწერონ განყოფილების წევრათ. გამგეობა ფილიალურ განყოფილებისა უმორჩილესათ სთხოვს ყველა იმ მასწავლებლებს, რომლებიც ყრილობას არ დასწრებიან, ჩაეწერონ წევრებათ ხსენებულს განყოფილებაში დ. ყვირილაში.

დ. ხობი. ამ დღეებში შესდგა მომხმარებელ საზოგადოების „ძმობის“ ჩვეულებრივი კრება. კრებამ განიხილა ანგარიშები და ამოირჩია ახალი გამგეობა. იმედია ახალი გამგეობა ხალხის ნდობას გაამართლებს.

— 7 მაისს შესდგა წვრილი კრედიტის ამხანაგობის კრება.

— ადგილობრივ ნოქრებს გამოცოცხლება ეტყობათ. შემოიღეს ნორმალური დასვენება.

გომი (ზემო-ქართლი). 8 მაისს, კვირას, მოხდა გომის სარაიონო კრება, რომელსაც დაესწრენ ხუთი საზოგადოების წარმომადგენელნი რიცხვით 13 კაცი.

კრებას უნდა აერჩია გომის რაიონის კომისარი და ორიც მისი თანაშემწე. წამოაყენეს სამი კანდიდატი: 1) ლ. ზამბახიძე (ვანო გურული), 2) ვარლამ გოგუა და 3) გიორგი გომარელი, რომლებიც კრებამ ერთხმათ აირჩია, კომისარათ არჩეულ იქმნა ლ. ზამბახიძე, თანაშემწეებათ ვარლამ გოგუა და გიორგი გომარელი.

იმავე დღეს კრება ჰქონდა გომის სარაიონო გლეხთა დეპუტატების საბჭოს რიცხვით 50 კაცს.

კრებამ აირჩია ორი დელეგატი გლეხთა საბჭოს სიეზდზე დასასწრებლათ თფილისში. ვასო ცაბაძე და ლევარსი ზამბახიძე.

ს. ახალ-ქალაქი. 7 მაისს ადგილობრივ ჯარისკაცთა ინიციატორობით აქ გაიმართა წარმოდგენა ინტერნაციონალურ პროგრამით. დადგმული იქნა ერთ მოქმედებიანი პიესები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. შემოსავლის ნახევარი დანიშნულია ადგილობრივ ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს სასარგებლოთ, ნახევარი კი ადგილობრივს სკოლისა და ბიბლიოთეკისათვის. ხალხი ბლომათ დაესწრო უმეტესათ ჯარისკაცები.

დ. აბაშა. მიუხედავათ იმისა, რომ სასტიკათ აკრძალულია ღვინის გაყიდვა ბაზარში, ხშირათ შეხვდებით მთვრალ მამაკაცებს, რომლებიც წესიერებას არღვევენ.

ს. ხამიძაო. აქ სკოლის დარბაზში გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოდ. მიუხედავათ ცუდი ამინდისა წარმოდგენას მრავალი ხალხი დაესწრო. სამკითხველოს დარჩა წმინდა 52 მ. მადლობას ვუცხადებთ ყველა იმ პირთ, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში.

დ. ხობი. 30 აპრილს ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა დადგეს დრამა 4 მოქმედიანი ირთელისა „სოფლის გმირები“, დარბაზს აუარებელი ხალხი მოაწყდა. შემოვიდა წმინდა 173 მანეთი 85 კაპ. აქიდან 100 მანეთი გადაეცა ხობის ბიბლიოთეკას, დანარჩენი კი უნდა მოხმარდეს სცენას. განზრახულია დაიდგას მეორე წარმოდგენა ფილიალის სასარგებლოდ.

სცენის მოყვარეები აარსებენ დრამატიულ საზოგადოებას და აპირებენ მუშაობას მთელ. რაიონში.

შემოქმედი (გურია). ოზურგეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაიბარა ბათუმიდან ექვთიმე მაქ. ჩხატარაიშვილი და გამოცხადების შემდეგ გაგზავნა ადგილობრივ სატუსაღოში, ვინაიდან ის აღმოჩნდა ცნობილი დიმიტრა მჟელაძის სიაში, სადაც ე. ჩ. ნახსენებია, როგორც ზაკუსოვის (ყოფილი ოზ. მაზრ. უფროსი ამაწიოკებელი) აგენტი.

ს. მარტვილი. ამ მოკლე ხანში მარტვილში გაჩნდა პირუტყვების ჭირი. ბევრი მსხვილი საქონელი იმსხვერპლა ამ ჭირმა. საზოგადოებას ხელიდან ეცლება მარჩენალი ძროხა, ხარი და სხ. ჭირის შიშით ხარი უღელში ვერ შეუბამთ. შესაძლებელია ამის გამო მრავალი მიწა დაუმუშავებელი დარჩეს. საჭიროა ახლავე შესაფერი ყურადღების მიქცევა და შესაფერ ზომების მიღება.

კავკასიის ჯარის დელეგატთა სიეზდი.

(მე 17 დღე, 16 მაისი).

თავმჯდომარეობს **ზვონარიოვი**.

გრძელდება კამათი სამხედრო პირთა მატერიალურ მდგომარეობის შესახებ. ირკვევა ორი მიმდინარეობა, ერთი მოითხოვს სექციის რეზოლიუციის თანახმათ აფიცრების შემოსავლის ძალზე განსაზღვრას, მეორენი ამის წინააღმდეგნი არიან. მოითხოვენ აგრეთვე ორთავე რეზოლიუციის შემათანხმებელ კომისიაში გადაცემას. ჯ.-კ. **ნაგირნი** თავის სიტყვაში ეხება მოწყალე დებს და მეტათ უხეშ გამოთქმებს ხმარობს, რაც საერთო ხმაურობასა და აღშფოთებას იწვევს. თავმჯდომარის ადგილს იჭერს **ევგენი გეგეჭკორი** და მოუწოდებს სიეზდს დამშვიდება—წესრიგისაკენ, ხოლო ორატორს აფრთხილებს ასეთი სიტყვები არ იხმაროს. სანამ აფიცრები ხელს არ აიღებენ მიმზიდველ ლუკმაზე, ჩვენს შორის ერთობა ყოვლად შეუძლებელიაო—სთქვა ნაგირნიმ

ამხ. მაკაროვსკი მოითხოვს რეზოლიუციაში პირველ რიგში დასმულ იქნას სამხედრო პირთა ოჯახების უზრუნველყოფა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი ნივთიერი მდგომარეობა და არა ის თუ ვისი ოჯახია.

გადაწყდა ორატორთა რიცხვი განისაზღვროს და სიტყვა მიეცეს მხოლოდ 2 ს.-დ., 2 ს.-რ. და 2 უპარტიოს.

ციტკოვი. (უპარტიო) მხარს უჭერს სექციის რეზოლიუციას და მოითხოვს აფიცერთა ჯამაგირის შემცირებას, ყოველგვარ დახმარების გაუქმებას. აქ გვეუბნებიან, თუ აფიცრებს შეუმცირეთ ჯამაგირი, პაგონებს აიხდიანო. თუ ჯარისკაცებს არ გაუმჯობესეთ მდგომარეობა ისინი იარაღს არ დაყრიან?..

თარხანოვი. (ს.-რ.) მოუწოდებს დელეგატებს ნუ აჰყვებიან იმ ხმებს, რომლებიც ნათქვამია იმ მიზნით, რომ ჯარში განხეთქილება შეიტანონ. რევოლიუციისათვის საჭიროა ჯარის ერთობა, რის განმტკიცებასაც უნდა ვცდილობდეთ. ჯარისკაცების მდგომარეობა უნდა გავაუმჯობესოთ არა აფიცერთა ჯამაგირების შემცირებით, არამედ სახელმწიფოს სარჯით. ვინც ცდილობს აფიცერთა და ჯარისკაცთა შორის განხეთქილების ჩამოგდებას, ის მტერია რევოლიუციისა... ორატორი მომოითხოვს შემათანხმებელ კომისიის შედგენას რეზოლიუციის შესამუშავებლათ.

ნოე რამიშვილი. აქ ვრცელდება შეხედულება, თითქოს სოციალისტებმა მიგატოვეთ მაშინ, როცა ირჩევა ჯარისათვის მეტათ მნიშვნელოვანი კითხვა. მე, როგორც ოფიციალური წარმომადგენელი სოც. დემ. პარტიისა, გადაჭრით ვაცხადებ, რომ ჩვენ თუ ამდენხანს არ მივიღეთ მონაწილეობა ამ საკითხის გარჩევაში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტა უხერხულათ მიგვაჩნდა თქვენს, ასე ვსთქვათ შინაურ საქმეში ჩავრეოდით. დღეს იძულებული ვართ გამოვიდეთ ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ. სანგრებში ჯარისკაცთა მდგომარეობა—ეს თვით ჩვენი მდგომარეობაა... ჩვენ არასოდეს არ გვივიწყებდით თქვენ, ჩვენი წარმომადგენლები წერეთელი, ჩხეიძე, გეგეჭკორი სახელმწიფო დუმაში და ყველგან, სადაც შემთხვევა მიეცემოდათ, გამოდიოდნენ თქვენი მდგომარეობის მედგარ დამცველათ. ასეა დღესაც. ჯარის უზრუნველყოფა ისევე საჭიროა, როგორც მუშებისა და გლეხების ინტერესების დაცვა, ვინაიდგან ჩვენ მოწოდებული ვართ დავიცვათ ინტერესები რევოლიუციონურ დემოკრატიისა. ჯარმა უნდა დაიცვას მოპოვებული თავისუფლება, ფრონტის გარღვევა—რევოლიუციის გარღვევა იქნებოდა. თუ თქვენ გაჰყევით იმ ორატორებს, რომლებიც გამხედრებენ აფიცრების წინააღმდეგ, ჩვენ არ გვეყოლება მთლიანი ჯარი და იგი ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას. ყველამ ვიცით, რომ ჯარისკაცების მდგომარეობა აუტანელია, რევოლიუციამ უნდა გააუმჯობესოს იგი, უნდა მისცეს ჯარის კაცს კულტურულ განვითარების საშუალება, უნდა გახადოს იგი თავისუფალ მოქალაქეთ, მხოლოდ მაშინ შესძლებს თავის მოვალეობის პირნათლათ შესრულებას, მაგრამ ეს გაუმჯობესება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯით და არა აფიცერთა ჯამაგირების შემცირებით. სექციის დადგენილება სამართლიანია, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯია, თქვენ უნდა გადადგათ მეორე ნაბიჯიც, უნდა მოითხოვოთ, რომ სახელმწიფომ გააუმჯობესოს თქვენი მატერიალური მდგომარეობა. თუ ჩვენ აფიცერთა მდგომარეობის გაუარესებას შევეხებით, როგორ უნდა გიხელმძღვანელონ თქვენ მათ? თქვენ არ გინდათ ჩავარდეთ გერმანელ კაპიტალის ბატონობის ხელში, არ უნდა შეიტანოთ განხეთქილებაც ჯარში. ფიქრობენ, რომ ეს არ შეიტანს განხეთქილებას, მაგრამ, ამხანაგებო, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო, არ უნდა გაგვიტაცოს სურვილებმა. ორატორი მოითხოვს ჯარისკაცთა ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესებას, აფიცერთათვის გარეშე დახმარების გაუქმებას, მაგრამ მათთვის ჯამაგირების შემცირება შეუძლებლათ და მავნებლათ მიაჩნია, ვინაიდან ამას სააგიტაციო მასალათ გამოიყენებენ ბნელი ძალები და საზარალო იქნებოდა რევოლიუციისათვის. ორატორი მოუწოდებს ჯარს ერთიანობისაკენ, ჯარისკაცთა და აფიცრებს შორის ნდობის განმტკიცებისაკენ, და მოითხოვს შემთანხმებელ კომისიის შედგენას რეზოლიუციის შესამუშავებლათ.

ლაპარაკობს **კოლდანოვი** (უპარტიო), **ტროხინი** (ს. რ.) და **ანდრეევი** (ს. დ.), რომლებიც სავსებით იზიარებენ ს. რების და ს. დ—ბის ოფიციალურ წარმომადგენელთა შეხედულებას და მოუწოდებენ სიეზდს დაიცვას ჯარის მთლიანობა.

გადაწყდა შეთანხმებული კომისიის შედგენა, რომელშიაც შევლენ 3 წევრი პრეზიდიუმიდან და 3 სექციიდან, და რომელიც გამოიმუშავებს რეზოლიუციას.

დროებით მთავრობას და პოლივანოვს ეგზავნება დეპეშა ჯარისკაცთა ოჯახების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. სიეზდმა დაადგინა მიიღოს აქტიური მონაწილეობა „თავისუფლების სესხის დღის“ მოწყობაში. **ვ. ალათიშვილი.**

პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვაცხადებთ, რომ გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან. რომ გაზეთის გზავნა დაუბრკოლებლივ ხდებოდეს საჭიროა ფული კანტორამ რამდენიმე დღით ადრე მიიღოს.

წერილი ბრძოლის ველიდან.

(2-რე კავკ. მსროლ. დივიზია).

ათი დღე გავიდა სანამ თავისუფლების ხმა ჩვენამდე მოაღწევდა. ბრძოლის ველზე მყოფი 2-რე კავკ. მსროლელთა ჯარი აღფრთოვანებით შეეგება პირველ დღეებს, რუსეთის დიდი რევოლიუციისას.

მალე ამის შემდეგ მოხდა 7-დე კავკასიის მსროლელთა პოლკის პირველი მიტინგი. ილაპარაკეს კარაკლისის გარნიზონის დელეგატმა ამხ. ბერეზოვსკიმ, ჯარისკაცებმა და აფიცრებმა.

მოეწყო როტების, პოლკების და დივიზიის კომიტეტები. ეს კომიტეტები შეძლების დაგვარათ აკავშირებს თავის გარშემო მის ამრჩევლებს, მაგრამ გვაკლია ლექტორები, აგიტატორები, ორატორები და ლიტერატურა. აუცილებლათ საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ თფილისის მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოებმა.

აუცილებლათ საჭიროა დამფუძნებელ კრებამდე ჯარის ცოტათ თუ ბევრათ მომზადება. სოციალ დემოკრატიული პარტიის ვალია ეხლავე გამოგვიგზავნონ პროპაგანდისტები.

საჭიროა სხვადასხვა მემარცხენე რუსული გაზეთების ერთდროულათ და ბლომათ გამოგზავნა. ეს იმიტომ, რომ გვიგოთ მისამართი და კომიტეტებს შეძლება მიეცეს მათი გამოწერის. მატერიალურ დახმარებასაც გაუწევთ.

მემარცხენე გაზეთების უქონლობით ბურჟუაზიული გაზეთები მიზანს აღწევენ. მათ კარგათ ესმით თუ სად აქვს გასავალი პროვოკაციას. ბურჟუაზიული გაზეთების პროვოკაციის ბრალია ზოგიერთი დადგენილებანი ბრძოლის ველიდან მუშ. და სალ. საბჭოების წინააღმდეგ მიმართული.

მართალია ასეთ დადგენილებებს მცირე განმარტების შემდეგ თვითონვე გმობენ, მაგრამ დაგვიანებით, რადგან რეზოლიუციები გაგზავნილია. რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები პირდაპირი დამცველია ჯარისა და რუსეთის ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესებისა, ეს დღეს კარგათ ესმის ბრძოლის ველზე მყოფ ჯარს. „რუსკოე სლოვო“-ს „ნოვოე ვრემიას“ და კომპ., პროვოკაციის საშვალებით სურს გათიშოს რევოლიუციონური ჯარი და მუშათა კლასი.

ამ გზით სურთ რეაქციას ხელი შეუწყონ, მაგრამ ამაოთ.

თამამათ შემიძლია ვთქვა, რომ ჯარი თანდათან ეცნობა თავის მტერ მოყვარეს. დღეს ის მუშათა კლასთან ერთ არმიას წარმოადგენს და მასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლის უკეთესი მომავლის განსახორციელებლათ.

მათე შათირიშვილი.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

სად. სანაიგი.

11 მაისს მოწვეულ იქმნა სანაიგის რაიონის რ. ს. დ. მ. პ. წევრების კრება, რომელზედაც 60-მდე პარტიის წევრები დაესწრო. კრება გახსნა ამხ. ს. ერქომაიშვილმა და სთხოვა დამსწრეთ აერჩიათ თავმჯდომარე. აირჩიეს თავმჯდომარეთ ამხ. ჯიბლაძე, მდივნათ პრ. ინწკირველი.

განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) საორგანიზაციო კითხვები; 2) მიმდინარე კითხვები და 3) სხვა აუცილებელი საჭირო კითხვები ორგანიზაციისათვის.

თავმჯდომარის თხოვნით მოხსენებას აკეთებს ამხ. პრ. ინწკირველი, რომელმაც გააცნო კრებას დღევანდელი პარტიის მნიშვნელობა და აგრეთვე შეეხო იმას, თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა პარტიის წევრებს ძველი რეჟიმის დროს, რანაირ პირობებში ვიმყოფებით დღეს და როგორ უნდა ვიმოქმედოთ ამ ჟამათ. შემდეგ ასარჩევი იყო ახალი კოლექტივი. კოლექტივში ხმის უმრავლესობით აირჩიეს 5 კაცი. ამათში შედიან შემდეგი პირები: ს. ერქომაიშვილი, მ. ვაჩეიშვილი, პ. ჯიბლაძე, დ. თავამაიშვილი და ბ. ჩხენკელი, მათ კანდიდატებათ: მ. ხვადაგიანი, კ. სამსონია, პ. ნანეიშვილი, ამხ. შავგულიძე და პრ. ინწკირველი. ხაზინადრათ აირჩიეს ვ. ნავროზაშვილი, თანაშემწეთ პორფილე ჯიბლაძე. შემდეგ კოლექტივის წევრებმა თავიანთ შორის აირჩიეს ხელმძღვანელათ ს. ერქომაიშვილი, ამხანაგათ პ. ჯიბლაძე და მ. ვაჩეიშვილი. **დამსწრე.**

გარეთ-კახეთი.

სოფ. საგარეჯოში ს.-დ. ხელმძღვანელი ბიუროს კრება მოხდა. გაეცნენ წესდებას ს.-დ. ორგანიზაციის შესადგენათ, მიიღეს იგი უცვლელათ და იმ დღიდან დაიწყო წევრთა ჩაწერა. თერთმეტ მაისს ბიურომ მოიწვია წევრთა საზოგადო კრება. ბიუროს პრეზიდიუმი შესდგა 5 კაცისაგან. თავმჯდომარე ვ. კანჯარაშვილი, მის ამხანაგათ ი. მანველიძე, მდივანათ ს. მჭედლოვი, ხაზინადარათ ვალო მჭედლიშვილი და ორგანიზატორათ ა. ბუზიაშვილი. ჯერჯერობით პარტიის წევრთა რიცხვი აღწევს 67 კაცს. კრებას ამხ. კანჯარაშვილმა გააცნო პარტიის წევრების მნიშვნელობა და მიზანი და მოუწოდა გულმხურვალეთ მოჰკიდებოდნენ საქმეს. ამხ. კანჯარაშვილისვე წინადადებით ბიურომ გადასწყვიტა გამოიწეროს მუშათა გაზეთი „ერთობა“, აგრეთვე ურჩია გამოიწერონ სხვებმაც ვინც კითხვა იცის. ბევრმა ამხანაგებმა განაცხადეს სურვილი გამოიწერონ—ორმა კაცმა ერთი გაზეთი მაინც. ამოირჩიეს პასუხის მგებელი კორესპოდენტი ჩვენს გაზეთში ამხ. ვ. კანჯარაშვილი. ბიურომ გადაწყვიტა შეიძინოს ჩეკები, შტემპელი და დავთარი ხაზინადრისთვის. აგრეთვე დაადგინეს დაუყონებლივ მოიწვიონ პროპაგანდისტი, გამოსცენ მარქსისტული ლიტერატურა—განსაკუთრებით სამხედროვო შინაარსის წიგნაკები. წევრთა ჩაწერა გრძელდება—მსურველი ბევრია. ბიურო იკრიბება ორ კვირაში ერთხელ. საკრებულოთ დაინიშნა საგარეჯოს სათეატრო დარბაზი. წევრთა ჩაწერა შეიძლება ამხ. ვალო მჭედლიშვილის სახელოსნოში კვირა და ხუთშაბათობით. საგარეჯოს ბიუროს თავმჯდომარეს თაოსნობითვე შესდგა ს.-დ. წრე ს. ნინოწმინდაშიც. წრემ თავმდომარეთ აირჩია შაქარა გაბელაშვილი, ამხ. ვანო როჰიკაშვილი, მდივანი გიორგი შოშიაშვილი. აღსანიშნავია, რომ ნინოწმინდელები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან პარტიულ მუშაობას. მათაც გამოიწერეს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი გაზეთი „ერთობა“ და გადაწყვიტეს გაგზავნონ ერთი წარმომადგენელი საგარეჯოს ხელმძღვანელ ბიუროში და მოუწოდებენ დანარჩენ სოფლებს სართიჭალის რაიონისა შეადგინონ ს.-დ. წრეები და გაგზანონ თითო წარმომადგენელი.

ნ.

ბ ა თ უ მ ი.

1 მაისს მოხდა პირველი კრება ახლათ არჩეული მესამე რაიონის დროებით კომიტეტისა რ. ს. დ. მ. პ. კრებას დაესწრო წევრთა სრული შემადგენლობა. რაიონული კომიტეტის მუდმივი თავმჯდომარეთ ერთხმათ იქნენ არჩეული შატილოვი და მის ამხანაგათ სერგო ყუფარიძე, მდივნათ გუგუნავა. პირველ რიგში იყო კითხვა პარტიული ცეხების მოწყობა და ახალ წევრთა რეგისტრაცია. გადაწყდა შემდეგი: რადგანაც მესამე რაიონი დიდია, რომელშიაც შედის პირველი და მესამე უბნები, მოეწყოს ყველა შესაფერ კუთხეში ათ-თხუთმეტამდის ცეხები, თან დასახელებულიც იქნა რამოდენიმე შესაფერი ადგილებიც და ცეხის ხელმძღვანელი ამხანაგებიც საბოლოოთ და საჩქაროთ მოსაწყობათ. ამ საქმეზე არჩეულ იქნა ორგანიზაციებისთვის ორი ამხანაგი: ივანე მგელაძე და პავლე კოპალეიშვილი, რომელთაც დაევალით საჩქაროთ გამონახონ შესაფერი ადგილები შესაფერი ამხანაგებით, იქ, სადაც კომიტეტმა დაახლოებით ვერ დაასახელა—შემდეგ გამოუშვას მოწოდება ამხანაგების მიმართ, დაწვრილებით ცეხების და მათი ადრესების ჩვენებით, რომ ყველა ძველი და ახალი წევრები შეჯგუფდენ ნაჩვენებ ცეხების გარშემო. შემდეგ კომიტეტმა დაადგინა მორიგი სხდომებისთვის ორი დღე კვირაში—ორშაბათი და პარასკევი დღის 4 საათზე.

დ—ია.

14 მაისს ავლაბრის კლუბში მოხდა მესამე რაიონის კოლექტივის პირველი სხდომა. პირველმა სხდომამ შესძლო მხოლოდ პრეზიდიუმისა და სხვადასხვა სექციების არჩევნები და სხვა წვრილმანი კითხვების განხილვა. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარეთ ერზეკიანი, მდივნათ ტერმინასოვი: სარევიზიო კომისიაში: ნაზარეტიანი, თუმანიანი, ქლენტი საფინანსო კომისიაში: მეძვრიშვილი, თუმანიანი, არუტინიანი. პროპაგანდისტთა კომ.. ნაზარეტიანი, ერზეკიანი, ნ. ხომერიკი, აზატიანი, შანიძე. ტეხნიკურ კომისიაში: მეძვრიშვილი, ტერმინასოვი. ლიტერატურულ კომისიაში: ხომერიკი, ერზეკიანი, ნაზარეტიანი და აბასკული. კრებამ საჭიროთ სცნო, რომ საჩქაროთ იქნას ზომები მიღებული, გამონახულ იქნას მუშათა კლუბისთვის შესაფერი შენობა. ეს დაევალა ამხ. ერზეკიანს. გამოითქვა სურვილი, რომ ავლაბრის თეატრი ჩამოერთვას მოიჯარადრეს და აქ მოთავსდეს მუშათა კლუბი. კრებაზე იყო ამხ. ზაქ. ჩიჩუა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა.

ჩვეულებრივი კრებები მოხდება ორშაბათობით საღამოთი 6 საათზე. **წევრი.**

პროფესიანალურ კავშირში.

თფილისი. კვირას 14 მაისს „თეატრ აპოლოს“ შენობაში ნოქრების პროფესიანალური კავშირის გამგეობამ მოიწვია საზოგადო კრება. კრება გახსნა პროფესიანალურ კავშირის თავმჯდომარემ, ამხ. სალისაშვილმა. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. ხალატიანი. ამხ. ატოევს ირჩევენ მდივნათ. შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს დღიურ წესრიგს. ნორმალური დასვენების დამტკიცება ყველა სავაჭრო დაწესებულებებში, დ მატებათა არჩევნები მუშათა საბჭოში და სხვა კითხვები. ამხ. პეტროსიანი ამბობს: პროფესიონალური კავშირის გამგეობამ შეიმუშავა ნორმალური წესების საათები. მთელი სამრეწველო დარგი დავყავით სამ კატეგორიათ. პირველ კატეგორიაში შედიან ყველა მანიფაქტურის მაღაზიები, საბაკალეინო, შუშეული და აფთიაქის საწყობები. ზემოხსენებული სავაჭროები პირველ ივნისიდან პირველ სექტემბრამდე ღიაა დილის 8-დან 2 დე, 4-დან 6-მდე. ექვზე იკეტება სრულიათ. შაბათობით 6 საათის სამუშავო დღე, ესე იგი იკეტება 2 საათზე სრულიად. ზამთრობით პირველ სექტემბრიდან პირველ ივნისამდე ღიაა დილის 8 ნახ. 2-დე, ორიდან—4 დე. ოთხიდან 6 ნახ. მეორე კატეგორიაში შედის თევზეულობა, როგორიც არის გასტრანომია და სხვა. უნდა იღებოდეს ზაფხ. 7-დან 1 დე, პირველიდან 4-დე უნდა იკეტებოდეს. 4-დან 6 დე ღიაა. შემდეგ იკეტება. ზამთრობით ღიაა დილის 8—2-დე, 2-დან 4 დე დაკეტილია. 4 დან 6-დე ღიაა. 6-ზე იკეტება. 3 მე კატეგორიაში შედის სპეციალურათ მეხილეები, მერძევეები, საკანდიტეროები, რომელიც უნდა იღებოდეს დილის 9-დან 3 დე და 3 დან იკეტებოდეს 5 დე, 5-ზე იღებოდეს და იკეტებოდეს სრულ 7 ზე. ზამთრობით არ იცვლება საწყობის და ბანკის კანტორებში მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს ექვსი საათს. ეს ზემოხსენებული მოთხოვნილებები კრებამ მუხლ და მუხლ განიხილა

და უცვლელათ მიიღო, მუშათა საბჭოში კრებამ აირჩია დიდი ხმის უმრავლესობით შემდეგი ამხანაგები: ნიკო ატოევი, მ. აბაზოვი, ნერსესოვი და ბეჟაშვილი. **გ. გუბელი.**

მუშათა ცხოვრება.

თფილისის დაბალ სასწავლებლების მოსამსახურენი. დღემდის ჩვენ ვერ მოვახერხეთ ჩავრეულიყავით მუშათა მოძრაობაში და ეს იმიტომ, რომ სასწავლებლების ზოგიერთი გამგე გვიშლიდა ხელს. ჩვენ საშუალება არ გვქონდა შევკრებილიყავით და მოგველაპარაკნათ ჩვენს ჯირ-ვარამზე. ვერ მოვიყარეთ თავი იმიტომ, რომ დილის შვიდ საათიდან საღამოს ათ საათამდის გვამუშავებდნენ და დრო არ გვქონდა თავისუფალი. წელს მარტში მოგვცეს 114 მან., მაგრამ ბევრს ჩვენგანს ეს ფული არ მიუღია და ჩაჯიბეს გამგეებმა. თუმცა ჩვენ „სტოროჟს" გვეძახიან, მაგრამ ზოგიერთები მთელი დღე სამზარეულოში ვჭრით. მე აქ არ ვეხები ყველას, სახეში მყავს მხოლოთ ზოგიერთი გამგეები. დროა ჩვენმა ამხანაგებმა შეიგნონ დღევანდელი დღის მნიშვნელობა და კრებაზე გამოცხადდენ. ყურადღებას ნუ მიაქცევენ სკოლის გამგების ბუზღუნს. **მელქისედეკ ზაქარაძე.**

თფილ. საქ. სად. მუშები. ქურდობას, ლოთობას და სხვა ამგვარ არა სასურველს მოვლენებს თფილისის საქონლის სადგურის მუშებში წინათ დიდი გასავალი ჰქონდა. მუშების უმრავლესობა ისე იყო ჩათრეული ცხოვრების ფუსკრულში, რომ აღარ ფიქრობდენ იქიდან ამოსვლას, აღარ ფიქრობდენ თუ ოდესმე გათენდებოდა. ასეთ ატმოსფერაში უძნელდებოდა მუშაობა ზოგიერთ შეგნებულ ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ გადარჩენოდენ მთავრობის ბასრ ბრჭყალებს. ეს ამხანაგები ცდილობდენ გზა დაბნეულ ამხანაგების გამოფხიზლებას, და აი დადგა სანეტარო დღე და საქონლის სადგურის მუშების ამღვრეული ცხოვრებაც შეიგნრა. მოეწყო პროფესიონალური კავშირი, აირჩიეს წარმომადგენელი რკ. გზის კომიტეტში, აირჩიეს გამომძიებელი და თვალყურის მადევნელი კომისია და სხვა. 7 მაისს გაიმართა კრება, რომელზედაც გამოირკვა, რომ მუშებში აღმოჩენილა 7 კაცი, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ხალხის მიერ არჩეულ პირებს და კვლავ განაგრძობენ ქურდობას და პროვოკაციას. ეს შვიდი კაცი ბევრჯერ გააფრთხილეს, მაგრამ ამაოთ. ბოლოს იგინი სამუშაოდან დათხოვა ადგილობრივმა კომიტეტმა და მათ საქმე მუშათა დეპუტატების საბჭოში განასაჩივრეს. კრებას მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელიც დაესწრო. კრებამ კომიტეტის მოქმედება კანონიერათ სცნო. კრებამ დაადგინა: ადგილობრივმა კომიტეტმა თვალყური ადევნოს ამ შვიდ კაცს და უკეთუ გასწორდებიან მიიღონ სამუშაოზე. **გან-ცანი.**

რკინის გზის მოსამსახურე ქალები. ყველამ იცის რა პირობებში გვიხდება დღის მგზავრობა. მიუხედავათ დაქანცვისა, რამოდენიმე საათები ფეხზე ვდგევართ მშიერ-მწყურვალი, ვასრულებთ ჩვენ მოვალეობას, მაგრამ აქ გველობებიან ვითომდა ამხანაგი კონდ. კაცები და მოსვენებას არ გვაძლევენ. ამბობენ: ვითომც ჩვენ ცუდუღლათ ვართ ამ საქმეზე დანიშნულები, ვერ ვასრულებთ სამსახურს და სხვა. მიეცით ქალს ცოცხი, აი მისი საქმეო, იძახიან ისინი. ეს კარგია მაშინ, როდესაც მამაკაციც არის ოჯახში, მაგრამ რა ქნან იმათ, ვისაც არ ყავს ოჯახის ბურჯი და რამოდენიმე ქალ-ვაჟი ახვევია ირგვლივ? ბავშვებს რჩენა უნდა და აი სწორეთ ასეთები არიან დღეს რკინის გზაზე მოსამსახურე ქალები.

თვით ცხოვრებამ წარმოშვა ასეთი პირობები და ქალებიც იძულებულნი არიან შეეგუონ ამ პირობებს. იმის მაგივრად, რომ დაგვეხმარონ და ამხანაგური რჩევით და განხნევებით შეგვიმსუბუქონ ეს უჩვეულო შრომა — ისინი დაგვცინიან, ქუჩური სიტყვებით გვიმასპინძლდებიან და სხვა. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ქალებსაც უდევს წვლილი მუშათა მოძრაობაში და ჩვენც ვეცდებით ჩვენი უფლებები დავიცვათ. **ა. გ.**

რევოლიუცია პროვინციაში.

ამხ. ისიდორე რამიშვილი 118 სათადარიგო ჯარში. ამ დღეებში აქ გვეწვია ისიდორე რამიშვილი, გამოჩნდა თუ არა ჯარისკაცთა მიტინგზე, დიდი ოვაცია გაუმართეს ჯარისკაცებმა, წარმოსთქვა სიტყვა დღევანდელ მომენტის შესახებ, მან მოუწოდა სალდათებს მედგრათ დაიცვან დღევანდელი თავისუფლება და ცხოვრებაში გაატარონ პეტროგრადის სალდათთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების დადგენილება, ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ. მიტინგის დასრულების შემდეგ სალდათებმა ხელში აიყვანეს და მიაცილეს ადგილობრივ პოლკის სალდათების საბჭოში, სადაც კრება გაიმართა.

სათადარიგო ჯარის სალდათი **ნიკიფორე მეგრელიშვილი.**

ხარიუამიში. 6 მაისს შაბათს გაიმართა ქალაქთა კავშირის მოსამსახურეების წინასწარი საერთო კრება—„სიეზდზე" დელეგატების ასარჩევათ, რომელიც 20-ამ თვეს თფილისშია დანიშნული. კრება მრავალ რიცხოვანი იყო. პირველათ კითხულობენ „სიეზდის" პროგრამას, შემდეგ იხსნება კამათი, პირველათ ეხებიან კითხვას ქალაქთა კავშირის მოღვაწეობა საერთოთ და კერძოთ ამიერ-კავკასიაში, თითქმის ყველა მოლაპარაკე აღნიშნავს არა სასურველ მოქმედებას და ამის დასამტკიცებლათ მოყავთ მრავალი ფაქტები, შემდეგ ასახელებენ კანდიდატს. წამოაყენეს ორი სია კანდიდატებისა: ერთი სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფისა და მეორე ვითომდა „მუშათა ჯგუფ სა" ყველა კანდიდატი სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფის გამოდის კრების წინაშე და აცხადებს თავის პოლიტიკურ პლატფორმას და თავიანთ აზრს სიეზდზე დასმულ კითხვებზე. მეორე ჯგუფის კანდიდატები უარყოფენ პლატფორმით გამოსვლას და ყოველივე კითხვაზე აქ შეხედულებას და მოუწოდებენ კრებას ისე აირჩიონ ისინი. თავმჯდომარე ი. დურგერიანი მიმართავს კრებას შინაარსიანი სიტყვით და მოუწოდებს აირჩიონ ს. დ. ჯგუფის კანდიდატები: იქვე კრებაზე დაასახელეს კიდევ რამოდენიმე კანდიდატები. არჩევნები გადაიდო კვირისთვის. კვირას რამოდენიმე „ვაჟბატონებს", შეადგინათ განსაკუთრებით საგიტაციო ჯგუფი ს. დემოკრატების წინააღმდეგ. მაგრამ ვერას გახდენ, არჩევნებში, უმთავრესათ გავიდენ ს. დემოკრატიულ ჯგუფის კანდიდატები. სულ ასარჩევი იყო 6 დელეგატი. ს. დ. ჯგუფიდან გავიდენ სტ. ალავერდოვი, ივან. დურგერიანი, შმიტი და იანესიანი ბევრი „ვაჟბატონი" შეუდგა აგიტაციას და მოინდომეს არჩევნების დაშლა, მაგრამ ამაოთ. **ნაპერწკალი.**

სოფ. ზემო-მაჩხაანი. (სიღნაღის მაზრა) 30 აპრილს ზემო მაჩხაანში მოიწვიეს კრება სასოფლო საბჭოს ასარჩევათ; კრებას დაესწრენ თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს მიერ გამოგზავნილი პროპაგანდისტები. შეგროვდა 500 კაცზე მეტი და 200-მდე ქალი. პროპაგანდისტებმა გლეხებს განუმარტეს დღევანდელი ამბების მნიშვნელობა და აუხსნეს რა როლიც ითამაშა რევოლიუციის მოხდენა-გარემოებაში მუშათა კლასმა და კერძოთ სოც.-დემ. და მოუწოდეს აირჩიონ პატიოსან პირებიდან სასოფლო საბჭო.

არჩეულ იქმნა საბჭო 21 კაციდან შემდგარი. იმათგან 19 მამაკაცი და 2 ქალი. მამაკაცებში რამდენიმე შეგნებული სოც.-დემ. უმეტესობა კი სოც.-დემ. თანამგრძნობნი. მხოლოდ ქალები მოიფედერალისტებენ. **ხიმონა.**

დიდი ენაგეთი. აქ 7 მაისს მოხდა დიდი მიტინგი დაესწრო ათი სოფელი. ილაპარაკა ვლადიმერ კაკაბაძემ სოც.-დემ. სახელით. ორატორი თითქმის ყველა საშინაო-საგარეო საკითხებს შეეხო. მან ილაპარაკა აგრეთვე ნაციონალურ საკითხის შესახებ.

მიტინგის გათავების შემდეგ საკითხი აღძრეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ. ამ აზრს ხალხი სიხარულით შეხვდა და იქვე ჩაეწერენ წევრებათ და ფულიც შეგროვდა.

მიტინგზე გამოცხადდნენ ზოგიერთი დეზერტირები და აღუთქვეს ხალხს, რომ ისინი ეხლა მზათ არიან თავისუფალ რუსეთის დასაცავათ, ჩქარა ყველანი თავს მოიყრიან და ჯარისუფროსთან გამოცხადდებიან ომის ასპარეზზე წასასვლელათ. ხალხი აღტაცებით შეეგება ამ განცხადებას. **დამსწრე.**

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. მეტეხი. (გორის მაზრა) ზოგიერთები კიდევ გულით ეძლაუჭებიან ძველ დაგმობილ ბატონებს. მაგალითად თ. მიხ. ესტატეს ძე მაღალაშვილი სცხოვრობს სოფლებიდან 2—3 ვერსით დაშორებული. საკმაოდ შეძლებულია, მამულით, ცხვრით და ყველა დარგის მსხვილ-ფეხა საქონლით. ამ თავადმა შარშან ერთი სამარცხვინო საქმე ჩაიდინა, როდესაც საქონლიანათ გაძვალტყავებულს გლეხკაცობას მთავრობა აკეთებინებდა გზა-ტკეცილებს სოფელ ძეგვიდან ახალქალაქამდის უკანასკნელმაც იხელთა დრო და იქ მყოფ მეგობარ მოქულთან შეთანხმებით სოფ. ჩოჩეთიდან თავის საკუთარ სასახლემდი ქვიშა ღორღი დააყრევინა, რათა ერთ ცხენიანი ეტლით მიმოსვლა გაადვილებოდა.

ამას კი შედეგათ ის მოჰყვა, რომ სახნავები თავის დროზე ველარ მოხნეს, რადგან მაშინდელმა სუსხიანმა ქარ-წვიმამ ისედაც გაძვალტყავებული საქონელი ნახევრად წელში გასტეხა და დააუძლურა.

ეხლაც იმუქრება თ-დი მაღალაშვილი და როდესაც პასუხი მოსთხოვეს, მან უარი განაცხადა: „მე თქვენთან საქმე არა მაქვსო". **ბ—ლი.**

სოუჯბულახი. (სპარსეთი). დიდმა რევოლიუციამ ჯარში დიდი სიხარული გამოიწვია და ენადამბულ და შიშისგან დაბეჩავებულ ჯარისკაცებს თავისუფლება მიენიჭათ და ყველა მათგანი განვითარებისაკენ მისწრაფვება, მაგრამ საუბედუროთ აქაური საავათმყოფო წარმოადგენს ისევ ძველ რეჟიმის ბუდეს, სისუფთავე სულ არ არსებობს. გადამდებ სენით ავათმყოფები არეულნი არიან სხვა ავათმყოფებში. სანიტარები დღეში წამჯერ შემოდიან ავათმყოფებთან და თავის დროს საჭმელს ვერ ვღებულობთ. პური ავათმყოფს ეძლევა თითო გირვანქა, მაგრამ ავათმყოფთან ნახევარი გირვანქაც არ მიაღწევს. შაქარი, გალეტები და ასეთები ავათმყოფებს დასანახავათ ენატრებათ. აქ შაქრის ღირს გირვანქა 2 მ. 50 კაპ. და სანიტარები და მათი მხარის დამჭერი უფროსები სარგებლობენ. ეგრეთ წოდებული მოწყალების დები დაღლილნი არიან მხოლოდ სეირნობით. ავათმყოფებს სრულებით არ აწვდიან გაზეთებს და მათი წამკითხველნი, დასანახავათ ეჯავრებათ. ისინი ცდილობენ გაიცნონ მდიდარი ხანები, რომლებისგანაც მეტ სარგებლობას მოელიან. ბევრჯელ მოითხოვეს ავათმყოფებმა ძველი სანიტარების გამოცვლა, მაგრამ მეორე დილას პასუხი მიიღეს: როტაში ხართ გაწერილიო. მოუვლელობით ბევრი ავათმყოფი კვდება.

დროა ასეთ ადგილებს მიექცეს ყურადღება გასაუმჯობესებლად. **კ. ნებიერიძე.**

ქვემო გურია. ქვემო გურიიდან თითქმის ყველა ფერშლები სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, რომლებიც ცოტაოდენ დახმარებას მაინც უწევდენ ავათმყოფებს; ასე რომ ოზურგეთის მაზრა დღეს უექიმოთ არის დარჩენილი. ეს გარემოება კი საშუალებას აძლევს ზოგიერთ მატყუარებს ექიმების როლში გამოვიდენ და ავათმყოფებს მორჩენის მაგიერ სიცოცხლეს უმოკლებენ. საოცარია ამ ვაჟბატონთა ოინბაზობა. მიუხედავათ იმისა, რომ არაფერი ესმით ავათმყოფობის, შეკითხვაზე პასუხს იძლევიან: „ღმერთსა და ჩემს წამალს ყველაფერი შეუძლიანო". საბრალო ავათმყოფის პატრონიც თავდავიწყებით გარბის არამკითხე ფერშლებთან რაღაცა „წამლის" მაგვარ ამღვრეულ წყლის მოსატანათ და ისიც აუწერელ ფასებში.

საჭიროა ასეთ საშუალო საუკუნოების ექიმბაშობას ეჭვის თვალით შეხედონ და გამონახონ ერთი ექიმი მაინც. ეს შეუძლია თავსიდვას ჩოხატაურისა ან ჯუმათის საზოგადოებრივმა აფთიაქებმა, რაც ორთავე საზოგადოებისთვის მეტათ სასარგებლო იქნება. დასასრულ, ამ ნიადაგზე საჭიროა ყურადღება მით უმეტეს დღეს, როდესაც ათასგვარი ავათმყოფობა მძვინვარებს. **ა. ლილიპუტი.**

გოჩა ჯიხაიში. (ქუთ. მაზ.) ეს სოფელი უწინდელ დახავსებულ მთავრობის დროს, ძლიერ დაბეჩავებული და ჩამორჩენილი იყო კულტურულათ, შედარებით სხვა დაბა-სოფლებზე აქ არ არსებობდა, და არც ეხლა არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება; ეხლა ორ მაისს რამოდენიმე გულშემატკივარ ქალების თაოსნობით, იქნა მოწვეული ქალთა-კრება. ამ კრებას უნდა განეხილა საკითხები: „ქალთა წრის დაარსება, სამკითხველო" და სხვა. არჩევნების დროს შეიქნა ერთი აურ-ზაური, განგაში და არეულობა, რის გამო ქალები დაფთხენ და კრება უნაყოფოთ დაიშალა! ბოლოს გამოირკვა, რომ „ქალთა-კრება" ზოგიერთებს არ მოსწონებიათ, გერასიმე და პავლე ანდრიაძეების მეთაურობით მოვიდენ და კრებაც ჩაშალეს. საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და აილაგმონ ისეთი ვაჟბატონები, რომლებიც ხალხის განვითარებას ხელს უშლიან და პროვოკატორობას ეწევიან. **ცქვიტიშვილი.**

ქ. ქუთაისი 1 მაისს, მუშათა და სალდათთა საბჭოს დარბაზში მოხდა მუშათა და სალდათთა დეპუტატების შეერთებული სხდომა. თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ამხ. ი. გოლდმანი და მდივნათ პრ. მაჭავარიანი. კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები. 1, მილიცია, დეზერტირები და ფედერალისტთა დამოკიდებულება.

პირველი კითხვის შესახებ, მოხსენება გააკეთა გუბერნიის კომისარმა პრაპორშჩიკმა სტარცევმა.

მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: დაევალოს საგუბერნიო კომისარ სტარცევს დაუყონებლივ შეადგინოს მილიცია იმ პირებისაგან, რომელთაც სამხედრო სამსახურში არ იწვევენ, აგრეთვე იმ ჯარისკაცებისაგან, რომელნიც რამოდენიმეჯერ დაჭრილა, განთავისუფლებული არიან დროებითი და ჯერ ვადა არ გასვლიათ.

მეორე კითხვის შესახებ, რომელიც დეზერტირებს ეხება, მოხსენებას აკეთებს პრაპ. გეგელაშვილი; მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია გამოიცეს ფურცლები, მუშათა და სალდათთა დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით, რომ გამოცხადდენ ყველა დეზერტირები. ყველგან დაიგზავნოს სალდათთა და მუშათა საბჭოს წარმომადგენლები, რომ გააცნონ ადგილობრივ კომიტეტებს ეს საკითხი დადგენილების,

სისრულეში მოყვანა მიენდო მუშათა და სალდათთა აღმასრულებელ კომიტეტს. რაც შეეხება, თავდაცვის კომიტეტებში მომუშავებს, მიენდო აღმასრულებელ კომიტეტს დაუყონებლივ გადაიშინჯოს ყველა სიები, და სადაც არ აღმოჩნდებიან ნამდვილი მომუშავები, ყველანი ფრონტზე იქნან გაგზავნილი. ფედერალისტებთან დამოკიდებულების შესახებ ლაპარაკობენ.

ყველა ორატორები გმობს იმ არა სასიამოვნო მოვლენას, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ქუთაისში, და ადგენს შემდეგს: „მუშათა და სალდათთა დეპ. საბჭოს შეერთებული სხდომა სასტიკათ გმობს იმ გამოსვლებს, რომელიც მიმართული იყო ფედერალისტების წინააღმდეგ, და მოუწოდებს რევოლიუციონურ არმიას, არ აყვეს ასეთ პროვოკაციულ გამოსვლებს. თუ რაიმე უკმაყოფილება დაიბადება ჯარში მიმართონ თავიანთ ორგანიზაციას ან ე. ი. სალდათთა და მუშათა საბჭოს და ის მიიღებს ყოველგვარ ზომებს. **ი. ხადემეტროველი.**

გაზეთის სასარგებლოთ.

ტრაპიზონი. ჩვენ ჰიდროტეხნიკური ორგანიზაციის მუშები გიგზავნით ჩვენი ინტერესების დამცველ გაზეთს „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ ჩვენს წვლილს სულ 11 მ.

ამხ. მონდობილობით **სტეფანე მენაბდე.**

—

ბაქო. გიგზავნით 17 მ. 50 კ. გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ.

სასტუმრო „ევროპის" მოსამსახურენი.

—

1-ლი ნაწილის, მე-4 აკალოტკის ჩოლოქის არტელის მუშები ვიღებთ ჩვენს წვლილს და გაახლებთ ჩვენ შორის შეკრებილ ოც მანეთს. აქედან 16 მ. 25 კ. გაზ. „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ. დანარჩენით, გთხოვთ „ერთობა" გაუწეროთ სამი თვით კავკასიის ფრონტზე მყოფ ქართველ ჯარისკაცებს.

ამხანაგების მონდობილობით **კოწია დიმიტრის ძე მგელაძე.**

—

ჩვენ საველე ტელეგრაფების მუშათა კოლონის № 100-ის მუშები გიგზავნით ჩვენს შორის შეგროვილ წვლილს „ერთობის", „კავკ. რაბ." და „ფაიქარის" გასაძლიერებლათ და გთხოვთ გაუნაწილოთ თანასწორათ სამივეს. გაზ. „ფაიქარის" ყოველ დღიურათ გამოსაცემათ გიგზავნით ცალკე ამხანაგთა შორის შეგროვილ დახმარებას ექვს მან. და 60 კაპ. (6 მ. 60 კ).

მუშათა მონდობილობით **ვანო კობიძე.**

—

მოსე ლუკას ძე დოლიძემ მისი ძვირფასი დედის სახსოვრათ შემოსწირა გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ 15 მ. აგრეთვე დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცებს გაუწერა სამი თვით გაზეთი „ერთობა".

ჯარისკაცთა დეპუტატი **არსენ ხ. სადრაძე.**

—

ჩვენ ამიერ კავკასიის რკინის გზის 1 ნაწილის 4 აკალოტკის რემონტის მოსამსახურეებმა „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ მოვკრიფეთ ჩვენ შორის ოცდაერთი მან. და 30 კ., რასაც დღესვე გიგზავნით.

ამხ. მონდ. **ბიქტორ გირკელიძე.**

—

ჩვენ პირველი კორპუსის ტრანსპორტი ჯარის კაცებმა განურჩევლათ ეროვნებისა შევაგროვეთ სულ 24 მ. და 25 კ. „ერთობის" და „ფაიქრის" ფონდისათვის თანასწორათ,

ამხ. მონდ. **ს. ჯ. კ. პ. კიკნაველიძე.**

—

გიგზავნით ხუთ მან. და „ერთობას" ვუძღვნი სალამს.

ვალერიან ფირანისძე რუხაძე.

—

არზრუმის სამხედრო რკინის გზის თვიური მოსამსახურე და დღიური მუშები ვიღებთ ჩვენს წვლილს „ერთობის" და „ფაიქრის" ფონდისათვის. „ერთობას" 65 მ. „ფაიქარს" 32 მან.

მონდობილობით **ხ. ბაბლიძე.**

—

ჯუმათი. (გურია) გაიმართა მიტინგი. შეგროვდა 45 მან თქვენ გიგზავნით 30 მან „ერთობის" და „ფაიქარის" ფონდისათვის. 15 მან. ვუგზავნით „სოციალდემოკრატს".

ივანე გორდელაძე.

—

შემოწირულება მუშათა საბჭოში როსტოვის მუშათა ამხანაგებისგან: მეუნაგირეთაგან 108 მან. 5 კ., მეწუღლეთაგან 75 მ., მეტყავეთაგან 65 მან.

მამულაშვილი, ზოლოტნიცკი, ტავტიანცი.

გიგზავნით სენაკის მაზრის სოც. დემ. კომიტეტის მიერ შეგროვილ პრესის ფულს სხვა და სხვა პირთა შორის.

გაზეთ „სოციალ-დემოკრატს" ქუთაისში 50 მან. და რუსულ „Борьба"-ს 50 მან.; დანარჩენი 203 მ. და 90 კ მიიღეთ თქვენ.

ამხ. სალამი—კომ. მდივ. **ა. გამსახურდია.**

—

ჩვენ ჯარისკაცნი მე 8 როტის 280 პოლკისა გიძღვნით სალამს.

ყველანი, გიგზავნით ჩვენს უმნიშვნელო წვლილს რვა თუმანს 23 აპრილს შეგროვილს.

მთელი როტის მონდ. როტის კომიტ.

პოდპორ **დავით ავალიშვილი.**

წერილები რედაქციის მიმართ.

სად. მარელისი. [illegible] მადლობას უცხადებთ სად. ნატანების მცხოვრებს და მოვაჭრეებს, რომლებმაც ნივთიერი დახმარება აღმოგვიჩინეს ჩვენ მესამე როტის მეექვსე კავკ. მომუშავე ბატალიონის სალდათებს და მოგვიგროვეს გაზეთის გამოსაწერათ აპრილის პირველ რიცხვებში 31 მ. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შემომწირველთა სიას ვერ [illegible]. ბოდიშს ვიხდი შემომწირველთა წინაშე, რომ ეს დღემდი არ იქნა გაზეთში გამოცხადებული.

ამხ. მონდ. **ჯ. კ. გ. კვერენჩხილაძე.**

უღრმეს მადლობას უცხადებთ იმ პირებს, ვინც კეთილ ინება და შემოწირულება გაიღო კვირიკეთის სამკითხველოს სასარგებლოთ.

კვირიკეთის სამკ. გამგეობის მონდობილობით გამგეობის წევრი **მარო კეშელმაძისა.**

უღრმეს მადლობას უცხადებთ მესამე კავკ. მსროლელ დივიზ. შემხვევი ატრიადის უფროს ექიმს ორახელაშვილს, რომელიც ომის დაწყებიდან გვაწვდიდა ქართულ გაზეთებს.

ქ. ჯ. კ. დავალებით **ი. პ. გოგოტიშვილი.**

ქვემო სურების უფასო წ.-ს. სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომლებმაც თავისი წვლილი არ დაიშურეს ქვემო-სურების წიგნთ-საცავ სამკითხველოსთვის. სულ შეგროვდა 31 მ. 10 კ. სამწუხაროთ გაზეთში უადგილობის გამო სია ვერ იბეჭდება.

გამგ. მონდ. **თ. რ.**

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ნიკოლოზ ვანიძე მსახურობდა 1 კავკას. საზღვარი ოტრ. 4 როტა, ერთი წელიწადია მისი არაფერი ვიცით. ამიტომ უმორჩილესათ გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მაცნობოს მლ. თომა საბაშვილის სახელზე ქ. ოზურგეთში.

— ჯ. კ. სიმონ შეყულაშვილი მსახურებდა 264 გეორგიევსკ პოლკში 12 როტაში. თუ ვინმემ მის შესახებ იცის რამ ვსთხოვ მაცნობოს: ჭიათურა ვაგონების დამტვირთველი არტელი სერაფიონ შეყულაშვილს.

— ვაჩნაძიანის მცხოვრები (თელავის მაზ.) მიხეილ ივანეს ძე მიგრელიშვილი მსახურობდა გერმანიის ფრონტზე, დუხაშინსკი პოლკში, 15 როტაში. ერთი წელიწადია არაფერი ვიცით მის შესახებ. თუ ვინმემ იცით სად იმყოფება გვაცნობეთ: კავკ. მომქ. ჯარში, 14 კავკ. მსროლ. პოლკი, 16 როტა ვასილ მიგრელიშვილს.

— ამით ვაუწყებთ მშობლებს და ნათესავებს, რომ ცოტა ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჯარის კაცი კოწია იაკობის ძე საყვარელიძე ყვირილიდან, რომელიც მსახურობდა მეშვიდე მსროლელთა კავკ. პოლკში მეხუთე როტაში.

დასაფლავებულია სოფ. „შამირანში" ოსმალეთში. ფერშ. **მ. ერ. ჰელიძე.**

ჩვენი ფოსტა.

რ. ს. დ. მ. პ. თფილ. კომიტეტის ბიურო. ქ. გერიუსი. ლ. მახარაშვილს: ლიტერატურას ფასდადებით არავის ვუგზავნით. ორგანიზაციები თუ როგორ უნდა შესდგეს, ამის შესახებ იხილეთ წესდების პროექტი გაზ. „ერთობა" № 13.

ბათუმი. ა. ჭ. წერილს ვერ ვბეჭდავთ.

ალ. ლეჟავას. როგორმე ისე გამოარკვიეთ თქვენი უთანხმოება. წერილს არ ვბეჭდავთ.

რედ.-გამომცემელი **მღ. მ. ხოსრუხაძე.**

მატარებლების მიმოსვლა

ამიერ კავკასიის რკინის გზებზე
(ნაჩვენებია თფილისის დრო).

თფილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	ჩქრ.	№ 8,	11 ს.	08 წ.	დილ.
„	სამგზ.	„ 9,	10 „	13 „	საღ.
ბაქოსაკენ	საჩქ.	„ 5,	11 „	18 „	დილ.
„	სამგზ.	„ 3,	6 „	54 „	დილ.
„	საფ.	„ 4,	9 „	28 „	საღ.
ყარსისაკენ	სამ.	„ 4-3,	11 „	18 „	საღ.
თელავისაკენ		„ 7	7 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამ.	№ 10,	9 ს.	52 წ.	დილ.
„	საფ	„ 4,	8 „	38 „	საღ.
ხ.-შორაპ.	სამ.	„ 20,	7 „	43 „	დილ.
„		„ 16,	10 „	12 „	საღ.
ბაქოიდან	საფ.	„ 8,	10 „	08 „	დილ.
	სამგზ.	„ 7,	4 „	12 „	საღ.
„	საჩქ.	„ 5,	8 „	48 „	საღ.
თელავიდან		„ 3,	7 „	58 „	საღ.

თფილისში, ოლღის ქ. № 6, შ.-ბაზითიძის ქანცტორა და წიგნის მაღაზია

„განათლება"-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გადეგზავნება მსურველთ ფული გამოგზავნისთანავე.

პროვინციის აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ქურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „საქართველო", ჟურნ. „განათლება", [illegible], „ორიზონი", „პაიქარი", რუსული ჟურნალი „დელო" და ყველა ახლად გამოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ.

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1